პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი ხუთშაბათი 7 აგვისტო № 181 (17824) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხარისხიანი პროდუქცია — წარმოების სიამაყე

ბევრი ხუთწლედის დამდეგს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მონაცემები რესპუბლიკის მრეწველობაში ძალზე დაბალი იყო. ამიტომ წარსულის ფონზე მეტად საგულისხმოა ის გარდატეხა, რაც დღეისათვის ამ მიმართულებით არის მოპოვებული.

სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ არ ყოფილა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არც ერთი პლენუმი, რომელზეც პრინციპულად არ მსჯელათ პროდუქციის გაუმჯობესების საკითხზე. აქედან სათანადო დასკვნები გამოიტანეს საწარმოების ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, რაიონულმა, საქალაქო და საოლქო პარტიულმა კომიტეტებმა. მათ შეძლეს მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების წარმართვა ისე, რომ მისი მთავარი დეტალი მუშაობის ხარისხის, ეფექტიანობის დონის ამაღლება გამხდარიყო.

ამაზე დამაჯერებლად მეტყველებს ხუთწლედის დამამთავრებელი, დამკვრილური წლის პირველი ნახევრის შედეგებიც. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით სამეცნიერო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის მოცულობა 130 მილიონ მანეთზე მეტით გაიზარდა. საქართველოს სსრ საწარმოო გაერთიანებებმა, კომბინატები, ქარხნები და ფაბრიკები ხარისხის უმაღლესი კატეგორიის 2184 დასახელების მეტალურგიულ სხმულს, ელექტროძანძანას, ნავთობპროდუქტებს, ფეროშენადნობს, ჩარხს, ინსტრუმენტს, ქსოვილს, ჩაის, ღვინოს, კონიაკს და სხვა პროდუქციას უშვებენ. სახელმწიფო ხარისხისნიშნიანმა პროდუქციამ რესპუბლიკის მრეწველობის საერთო მოცულობაში 22 პროცენტს გადააჭარბა. ახლა საწარმოებში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად უპირველესად ხარისხობრივ მაჩვენებლებს იღებენ მხედველობაში. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია საწარმოთა ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, ასორტიმენტის განახლების, შრომატევადი ციკლების შეჭანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხები. ყოველი მათანის მოგვარებას კომუნისტი სპეციალისტები და მაღალკვალიფიციური მუშები ხელმძღვანელობენ.

ხარისხისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის მრეწველობის მიერ მოპოვებულ წარმატებებს შენარჩუნება და განმტკიცება სჭირდება. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მიმდინარე წლის დასაწყისი გეგმებს მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ გაართვეს თავი. ზოგიერთმა მათგანმა შარშანდელთან შედარებით შესახუსტა ხარისხისათვის ბრძოლა და არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

გაისად აღარ უნდა განმეორდეს ისეთი მდგომარეობა როგორიც, მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შეიქმნა. საქმე ის არის, რომ შარშანდელ შესაბამის პერიოდს ჩამორჩნენ რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის ლითოფონისა და ელექტროტექნიკური, ცხინვალის ემალსადენის ქარხნები, ჭიათურის სამთამადნო კომბინატი. გეგმით სახელმწიფო ხარისხის ნიშანი 240 სახეობის პროდუქციას უნდა მინიჭებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საპატიო ხუთკუთხედით აღინიშნა გათვალისწინებულზე 31 სახეობით ნაკლები ნაწარმი.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმებს ვერ გაართვეს თავი ბათუმის მანქანათსაშენებელი და ელექტრომექანიკური, რუსთავის ამწეების და ქიმიური, წნორის მექანიკური ქარხნებმა და ზოგიერთი სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

ასეთი მდგომარეობა იმიტომ შეიქმნა, რომ მთელმა რიგმა სამინისტროებმა და საწარმოებმა შეანელეს ბრძოლა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის და დროულად ვერ უზრუნველყვეს პროდუქციის სატესტაციოდ მომზადება. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, მაგალითად, პირველ კვარტალში, ხარისხის უმაღლესი კატეგორია არ მიენიჭა გეგმით ნავარაუდევ ორი დასახელების მილნამზადს. მეტალურგებს რომ დავალება შეესრულებინათ, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი ჩვენს მრეწველობაში 3761 ათასი მანეთით გაიზრდებოდა. საგრძნობ წვლილს შეტანდა საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის გადიდების საქმეში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივიც, მას რომ ამ პერიოდში გეგმით გათვალისწინებული ყველა მოდელის ნაწარმის წარდგენა მოესწრო სატესტაციოდ.

ზოგიერთი სამინისტროსა და საწარმოს ბრძოლისუნარიანობის ამოდენებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წელს ბევრი სახეობის ნაწარმმა დაკარგა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. საწარმოო გაერთიანებების, ქარხნების, ფაბრიკების, კომბინატების, ხელმძღვანელებმა, პარტიული ორგანიზაციების მბეჭდავებმა და კომუნისტებმა კარგად იციან, რომ ნაწარმს, იქნება ეს ჩარხი, შეკერილი ტანსაცმელი, ელექტროაპარატი თუ ავტომობილი, საპატიო ხუთკუთხედი ეძლევა გარკვეული დროის განმავლობაში და ვადის გასვლის შემდეგ ხელმეორედ ატესტაცია უნდა გაიაროს. ეს პირველ რიგში, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს ეხება. ეს გასაგებიცაა: ხუთწლედის განვლილ პერიოდში ამ სამინისტროს ხარისხისათვის ბრძოლაში ყველაზე დაჯერებელ შედეგს მიაღწია. ხარისხის უმაღლესი კატეგორია ამ სამინისტროს 752 სახეობის განმავლობაში მისი საწარმოების მიერ დამზადებული 752 სახეობის პროდუქციას მიენიჭა. რატომ მოჰყვა აღმავლობას უკანდახევა, რიგორ მოხდა, რომ პირველ კვარტალში საპატიო ხუთკუთხედი ამ დარგის 110 ნაწარმმა დაკარგა? იმედია, ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მოწინავე, ღონიერი კოლექტივი მსგავს გაუგებრობას აღარ დაუშვებს. ხარისხისათვის ბრძოლაში შარშანდელთან შედარებით კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების ზოგიერთმა საწარმომაც დათმო პოზიციები.

დღეს, როცა მრეწველობაში მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ვიბრძვით, უხერხულიც კია მეორე ტეტვრის ნაწარმზე ლაპარაკი. უხერხულია, მაგრამ რას იზამ, სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ. რატომ არ შეწყვიტეს ავის დროზე მეორე ხარისხის პროდუქციის გამოშვება თბილისის საწარმოო გაერთიანების „განთიადის“ და „საქელვინმანქანების“, მეტეხისა და სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატების ელექტროძანძანებელებმა? ამავე კითხვით მივმართავთ პარტიის იმ რაიონული კომიტეტებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რომელთა კომპეტენციაში მყოფნი საწარმოებმა დღემდე ვერ მოახერხეს უარი თქვან მეორე კატეგორიის ნაწარმის დამზადებაზე. ზოგიერთი გაერთიანების და საწარმოს „წყალობით“ რესპუბლიკის მრეწველობა ჯერ კიდევ უშვებს რამდენიმე მილიონი მანეთის მოძველებულ, დროისათვის შეუფერებელ ნაწარმს, ბალეღნიერიდ, ასეთი საწარმოები თითზე ჩამოსათვლელია. მაგრამ მაინც არის და ეს არ ვარგა.

ვერ მიიღწევენ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას ის, სადაც არ ფიქრობენ ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფასა და დანდგართა განახლებაზე. ყოველნაირად უნდა შეეტყოთ ხელი სოციალისტური შეჯიბრების გაწევას პროდუქციის ეფექტიანობისათვის, პირადი დამლის უფლებების მოპოვებისათვის, ტექნიკური კონტროლის პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის, საწარმოო სტანდარტების გამოყენებისა და დაცვისათვის.

ახლა ამოცანა ის არის, რომ აუცილებლად განვამტკიცოთ ჩვენი მუშათა კლასის თავდადებული შრომით მოპოვებული შრომატებები, არც ერთი წუთით არ შევანელოთ ხარისხისათვის ბრძოლა და გავფრთხილდეთ რესპუბლიკის პრესტიჟს, წმინდად დავიცვათ საწარმოს მარკის ღირსება და ნიადაგ განვახორციელოთ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიზანდასახულებანი. ვალდებულებებში, რომლებსაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის კისრულობენ, წმყვანი პუნქტი უნდა იყოს ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

საქმეთ გამოაჩინა

470.000 ტონა ჩაის ფოთლისათვის!

საქართველოს სოფლის მშრომელები ყოველწლიურად ახალ, სულ უფრო მაღალ მიჯნებს აღწევენ ჩაის ნედლეულის წარმოებისა და დამზადების გადიდების საქმეში. გამონაკლისი არც მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელია. გადაწყდა, წლევანდელ სეზონში მოკრიფონ აქამდე არნახული მოსავალი — 470 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაი.

მახარაძის რაიონის, ლაითურის ს. მ. კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მშრომელებმა წლევანდელ სეზონში მაღალი მიჯნები დაასახეს. მათ პირობა დადეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 8 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“. ლაითურელები დაძაბულად შრომობენ, ისწრაფვიან არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

სურათებზე: საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ერთ-ერთი საუკეთესო მეჩაიე-მექანიზატორი გიორგი გაზაშვილი; მოსავლის მექანიზებული კრეფა საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში.

მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეწყობა ტყეების დათვალიერება

ტყეების რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც 9 და 10 აგვისტოს ეწყობა, შეაჯამებს მეტყევეთა მთელი წლის მუშაობის შედეგებს და დასახავს მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

წლევანდელი ზაფხულის ხანგრძლივმა გვალვამ დამატებითი სიძნელეები შეუქმნა მეტყევეებს. ასეთ რთულ ვითარებაში რესპუბლიკის სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს და სატყეო მეურნეობებს დასჭირდათ ოპერატიულად გადაეწყვიტათ გვალვასთან დაკავშირებული საკითხები.

ტყეების დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, მეტყევე სპეციალისტები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა იზრუნეს, რომ შექმნილიყო დათვალიერების მომზადებისა და მოწყობის კომისიები. ტყის სამეურნეო სამუშაოების შესრულებას აგრეთვე გააკონტროლებენ თითოეული დასახელებული რეგიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენლები. ისინი განიხილავენ აგრეთვე ადგილებზე დათვალიერების შედეგებს და მიიღებენ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია მეტყევეების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

დათვალიერების შედეგებს შეაჯამებს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგია. (საქინფორმი).

მათი ინიციატივა მისაბაძია

● მეჩაიეთა სიტყვა: ექვსი წლის პროგრამა — ხუთ წელიწადში!

● ქუთაისის საწარმოები მხარს უჭერენ თბილისელ ელმავალმშენებელთა ინიციატივას: „ლენინური პარტიის ყრილობას — დამკვრელური შრომა, სანიმუშო ყოფა!“

● ●

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მეჩაიეთა კარგი თაოსნობა

რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა აღფრთოვანებითა და პატრიოტული აღმავლობით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადწყვეტილება სკკპ მორიგი, XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ. პლენუმის გადაწყვეტილებებმა, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ გამოიწვია საქართველოს მშრომელების, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის შრომითი ენთუზიაზმისა და პოლიტიკური აქტიურობის მოზღვავება. ისინი ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დამკვრელური შრომით განამტკიცონ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მუშაობის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილ მიტინგებსა და კრებებზე მშრომელები გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისა და მშობლიური პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში.

მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბლოუს ლაკობას სახელობის, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საქართველოს სახელობის კოლმეურნეობების, ლაითურის (მახარაძის რაიონი), ოჩხამურის (ქობულეთის რაიონი) და წალენჯიხის (წალენჯიხის რაიონი) ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, და მოსამსახურეებმა „გალათაში“ მიტინგის მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს, რომ არსებული რეზერვების ეფექტიანად გამოყენებისა და წარმოებისშიდა მოცდენების მაქსიმალურად შემცირების გზით შრომის ნაყოფიერებას გაზრდიან 2 პროცენტით, დანერგავენ 13 რაციონალიზატორულ წინადადებას, წლის მანძილზე დაზოგავენ 20 ათას კვადრატულ მეტრ ქსოვილს, 52.000 კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 19 ტონა პირობითს საწვავს, მეათე ხუთწლედის დავალებებს შეასრულებენ ვადაზე ადრე, 1 ნოემბრისათვის. პოლიტიკური განათლების სკოლებში და სემინარებზე მოისმენენ მსმენელთა ანგარიშებს, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში თავიანთი წვლილის შესახებ. სახელმწიფო ხარისხის ნიშანზე დამატებით წარადგენენ სამი სახეობის პროდუქციას. მეთერთმეტე ხუთწლედის 2 თვის დავალებას გაანაღდებენ 2 თვით ადრე და გამოუშვებენ 130 ათასი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას.

მინის ტარის ქარხნის მშრომელებმა გადაწყვიტეს მეათე ხუთწლედის გეგმა შეასრულონ 2 თვით ადრე — 7 ნოემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1,6 პროცენტით, მიიღონ 5 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, აითვისონ ახალი სახეობის საკონსერვო მინის ქილების მასობრივი წარმოება, ხარისხის ნიშანი მოაპოვებინონ ბროლის ნაკეთობათა ორ ნაწარმს. რაციონალიზაცია-გამომგონებლობის გზით წარმოებაში დანერგონ 30 რაციონალიზატორული წინადადება, დაზოგონ 35 ათასი მანეთი. მუშაობის ყველა სფეროში გამოიჩინონ პოლიტიკური სიფხიზლე, სამაღლონ პასუხისმგებლობა, იბრძოლონ სანიმუშო ყოფისათვის, გააუმჯობესონ სოციალისტური დისციპლინა, გადაჭრით ებრძოლონ ნეგატიურ მოვლენებს.

ამ ვალდებულებების დამტკიცებას მიეძღვნა პარტიული, კომკავშირული და ეკონომიკური განათლების პროპაგანდისტთა რაიონული შეკრება, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რაიონის მოწინავე საწარმოთა პროპაგანდისტების ამ თაოსნობას და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები. თაოსნობის მონაწილე რაიონის შრომითი კოლექტივები სულ 3.500 ათასი მანეთის ზეგეგმით პროდუქციის გამოშვებას კისრულობენ.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რაიონის ყველა პროპაგანდისტისადმი.

პარტიის ლენინის რაიონული კომიტეტის ბიურომ მოიწონა პროპაგანდისტთა რაიონული შეკრების მონაწილეთა ინიციატივა ყველა სკოლაში და სემინარზე ელმავალმშენებელთა თაოსნობის გავრცელების შესახებ და რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დავალა ხელი შეუწყონ მის დანერგვას.

მ. ფაჩუაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი.

ელმავალმშენებელ მსმენელთა მაგალითისამებრ

პროპაგანდისტები — ყრილობას

როგორც ცნობილია, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის მსმენელებმა გამოიჩინეს თაოსნობა გაანაღონ შეჯიბრება სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების ღირსეული შეხვედრისათვის დევიზით: „ლენინური პარტიის ყრილობას — დამკვრელური შრომა, სანიმუშო ყოფა!“.

ივნისში საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე ქებით მოიხსენიეს ელმავალმშენებელთა ეს თაოსნობა და მოუწოდეს სხვა კოლექტივებს გაეზიარებინათ იგი.

ქუთაისის ლენინის რაიონის შრომითს კოლექტივებში უმალ პოვა გამოხმაურება ელმავალმშენებელთა ამ თაოსნობამ და პირველი სიტყვა პროპაგანდისტებმა თქვეს. სამკერვალო გაერთიანება „გალათის“, საკონდიტრო ფაბრიკისა და მინის ქარხნის პარტიული, კომკავშირული და ეკონომიკური განათლების სისტემის პროპაგანდისტებმა და მსმენელებმა აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის აქტიურ სამზადისში თავიანთი მონაწილეობა კონკრეტული წვლილის შეტანით განსაზღვრეს.

სახელდახელოდ გაიმართა მიტინგები და ახალი გადიდებული ვალდებულებების მიღების დროსაც პირველი სიტყვა პროპაგანდისტებმა თქვეს. მაგალითად, სამკერვალო გაერთიანება „გალათაში“ მიტინგის მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს, რომ არსებული რეზერვების ეფექტიანად გამოყენებისა და წარმოებისშიდა მოცდენების მაქსიმალურად შემცირების გზით შრომის ნაყოფიერებას გაზრდიან 2 პროცენტით, დანერგავენ 13 რაციონალიზატორულ წინადადებას, წლის მანძილზე დაზოგავენ 20 ათას კვადრატულ მეტრ ქსოვილს, 52.000 კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 19 ტონა პირობითს საწვავს, მეათე ხუთწლედის დავალებებს შეასრულებენ ვადაზე ადრე, 1 ნოემბრისათვის. პოლიტიკური განათლების სკოლებში და სემინარებზე მოისმენენ მსმენელთა ანგარიშებს, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში თავიანთი წვლილის შესახებ. სახელმწიფო ხარისხის ნიშანზე დამატებით წარადგენენ სამი სახეობის პროდუქციას. მეთერთმეტე ხუთწლედის 2 თვის დავალებას გაანაღდებენ 2 თვით ადრე და გამოუშვებენ 130 ათასი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას.

მინის ტარის ქარხნის მშრომელებმა გადაწყვიტეს მეათე ხუთწლედის გეგმა შეასრულონ 2 თვით ადრე — 7 ნოემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1,6 პროცენტით, მიიღონ 5 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, აითვისონ ახალი სახეობის საკონსერვო მინის ქილების მასობრივი წარმოება, ხარისხის ნიშანი მოაპოვებინონ ბროლის ნაკეთობათა ორ ნაწარმს. რაციონალიზაცია-გამომგონებლობის გზით წარმოებაში დანერგონ 30 რაციონალიზატორული წინადადება, დაზოგონ 35 ათასი მანეთი. მუშაობის ყველა სფეროში გამოიჩინონ პოლიტიკური სიფხიზლე, სამაღლონ პასუხისმგებლობა, იბრძოლონ სანიმუშო ყოფისათვის, გააუმჯობესონ სოციალისტური დისციპლინა, გადაჭრით ებრძოლონ ნეგატიურ მოვლენებს.

ამ ვალდებულებების დამტკიცებას მიეძღვნა პარტიული, კომკავშირული და ეკონომიკური განათლების პროპაგანდისტთა რაიონული შეკრება, რომლის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რაიონის მოწინავე საწარმოთა პროპაგანდისტების ამ თაოსნობას და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები. თაოსნობის მონაწილე რაიონის შრომითი კოლექტივები სულ 3.500 ათასი მანეთის ზეგეგმით პროდუქციის გამოშვებას კისრულობენ.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რაიონის ყველა პროპაგანდისტისადმი.

პარტიის ლენინის რაიონული კომიტეტის ბიურომ მოიწონა პროპაგანდისტთა რაიონული შეკრების მონაწილეთა ინიციატივა ყველა სკოლაში და სემინარზე ელმავალმშენებელთა თაოსნობის გავრცელების შესახებ და რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დავალა ხელი შეუწყონ მის დანერგვას.

მ. ფაჩუაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი.

სადაგი დღეები ორგიზაზე

ფრუნზის მართვის ცენტრი, 5 აგვისტო. (საკდესი). ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი გამაგრძობენ დაგეგმილ კვლევასა და ექსპერიმენტებს „სალუტ-6“ — „სოიუზ-37 ორბიტულ კომპლექსში.

დღეს კოსმონავტები პროფილაქტიკურ რემონტს უკეთებენ ცალკეულ ხელსაწყოებსა და მოწყობილობას, აწარმოებენ დედამიწის ვიზუალურ დაკვირვებას და ფოტოგრაფირებას გარემოს შესწავლის მიზნით, ვარჯიშობენ ველოერგომეტრსა და მოძრავ ბილიკზე.

ბოლო დღეებში სადგურში კოსმოსური მასალათმეცნიერების პროგრამით რამდენიმე ექსპერიმენტი მოეწყო დანადგარებზე „შენადნობი“ და „კრისტალი“. კერძოდ, მიღებულია მონოკრისტალები ნახევარ-გამტარი ნივთიერების გალიუმარსენიდისა, აგრეთვე მაგნიტური მასალის გადოლინიუმ-კობალტისა, რომელსაც ელექტრონულ-გამთავლითს ტექნიკაში იყენებენ.

სადღეისოდ დაგეგმილია კიდევ ერთი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი დანადგარ „შენადნობზე“ ინდიუმსტიბიდის კრისტალების მიღების მიზნით.

4 აგვისტოს მოწყობილი სამედიცინო შემოწმების კომპლექსური შედეგების მიხედვით ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ. ეკიპაჟის მეთაურის მაჯისცემა წუთში 72-ია, ხოლო ბორტინჟინერისა — 60. არტერიული წნევის სიდიდე შესაბამისად 130X60 და 120X60 მილიმეტრ ვერცხლისწყლის სვეტს უდრის. ფრენის სამედიცინო უზრუნველყოფის ჯგუფის ექიმები აღნიშნავენ, რომ ორივე კოსმონავტი ინარჩუნებს დიდ შრომისუნარიანობას და თავს კარგად გრძნობს.

ყველა რეზერვი მოვახმაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას

ამ დღეებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, სახალხო მეურნეობის სხვა მომიჯნავე დარგების მშრომელები ძალ-ღონისა და ენერგიის სრული დაძაბვით მუშაობენ ხანგრძლივი გვალვის შედეგების უსწრაფესად ლიკვიდაციისათვის, ავლენენ და ამოქმედებენ დამატებით საშუალებებსა და შესაძლებლობებს, რათა შეასრულონ მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულებანი, უზრუნველყონ პირუტყვის მაძღრისი გამოზამთრების სათანადო პირობები, შექმნან მომავლის გარკვეული მარაგნამეტი. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მთელ ორგანიზატორულ-პოლიტიკურ მუშაობას ახმარენ სოფლად კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერებას, საქმიანი ინიციატივისა და საყურადღებო თაოსნობათა გავრცელების უზრუნველყოფას, სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ახლანდელი ეტაპისათვის დამახასიათებელი ეს ტენდენციები მკაფიოდ წარმოჩნდა რეგიონალური შტაბების — აფხაზეთის ასსრ რაიონების ზონის თავმჯდომარის, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. ვ. ადლეიბას, აჭარის ასსრ რაიონების ზონის თავმჯდომარის, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. რ. პაპუნიძის, მესხეთ-ჯავახეთის რაიონების ზონის, საქართველოს სსრ სახსოფლტექნიკის თავმჯდომარის ლ. ე. სარიშვილის ინფორმაციებში, რომლებიც მათ გააკეთეს ხანგრძლივი გვალვის შედეგების ლიკვიდაციისა და 1980 წლის მოსავლის შენარჩუნების უზრუნველყოფის რესპუბლიკური საგანგებო შტაბის მორიგ სხდომაზე.

რესპუბლიკური შტაბის სხდომა მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

აღინიშნა, რომ ხანგრძლივი გვალვის მიუხედავად, რომელიც აფხაზეთში იყო, ავტონომიურ რესპუბლიკაში არის წანამძღვრები იმისათვის, რომ მთლიანად და წარმატებით შესრულდეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საგეგმო დავალებანი. ამავე დროს აქ არის სერიოზული ობიექტური სიძნელენი თამბაქოსა და კვერცხის წარმოებისა და დამზადების საქმეში და ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დაძაბულად უნდა იმუშაონ, ჭეთა მაქსიმალურად გაზარდონ აღნიშნულ სახეობათა პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა.

კიდევ უფრო რთული ვითარებაა აჭარის ასს რესპუბლიკასა და მესხეთ-ჯავახეთის ზოგიერთ რაიონში, უწინარეს ყოვლისა ახალქალაქის რაიონში, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ ხანგრძლივი სასტიკი გვალვისაგან. აღნიშნულ რეგიონებში გვალვამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მრავალწლოვან ნარგავებს, ნათესებსა და ერთწლოვან კულტურებს, ბუნებრივ სათიბ-საძოვრებს. ყოველივე ამის მიუხედავად აქ არის ძირითად სახეობათა სიმლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების გეგმების შესრულების შესაძლებლობანი.

რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის თანაეთის რაიკომის პირველი მდივნის ი. ა. მერლანის ინფორმაცია საკვებწარმოებაში სერთოზული ნაკლოვანებების დაძლევისა და მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაჩქარების დასახულ ღონისძიებათა შესახებ.

რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ლ. ლ. ზაქაიძე, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ი. ჭალაგანიძე, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გ. ბ. ბადელია.

გაანალიზა რა შექმნილი ვითარება, რესპუბლიკურმა შტაბმა კონკრეტული ამოცანები დაუსახა რესპუბლიკურ ორგანოებს, აღნიშნული რეგიონების, რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა უზრუნველყოს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა შემუშავება, რომელთა მიზანი იქნება შეძლებისდაგვარად დამზადდეს მაქსიმალური რაოდენობის საკვები აჭარის ასს რესპუბლიკასა და მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში, დაზუსტდეს ამ რეგიონებისათვის საჭირო საკვების სახეობანი და მოცულობა, აგრეთვე მათი დამატებითი მიწოდების წყაროები, და თავისი წინადადებანი შეიტანოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დასამტკიცებლად. რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა მთელი მუშაობა უნდა წარმართონ იმისათვის, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის შემცირება.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და მესხეთ-ჯავახეთის რაიონების, აგრეთვე თიანეთის რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაევალათ გააძლიერონ საკვებად ხის ყლორტების დამზადებისათვის მუშაობა. ამასთან დაკავშირებით მოიწონეს საქართველოს კომპარტიის თანაეთის რაიკომის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს წელს საკვებად დაამზადონ სულ ცოტა 3 ათასი ტონა საკვები ხის ყლორტები და უახლოეს ორ წელიწადში მიაღწიონ საკვებწარმოების ისეთ დონეს, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ მთლიანად თქვენ უარი პირუტყვის გადარეკვაზე შირაქის ველის ზამთრის საძოვრებზე.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, რომელიც მნიშვნელოვანი მასშტაბით ახორციელებს ტყის სანიტარიულ ჭრას, წინადადება მიეცა მოიფიქროს საკვებად ყლორტების დამზადების სპეციალური გაერთიანების შექმნის საკითხი, ამასთან წინასწარი წესით უზრუნველყოს ტყეებიდან მწვანე მასის გამოზიდვისა და დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ სამსახურებს დაევალათ რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან ერთად ინტენსიურად იმუშაონ სუბტროპიკული კულტურების რწყვის დანერგვისათვის, რათა შეიძინონ საამო გამოცდილება გაისად ამ მიმართულებით მოქმედების ერთიანი პროგრამის შესამუშავებლად. ამასთან საქართველოს კომპარტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1980 წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მისაყიდად გაჩალეგული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და დაადგინეს: 1980 წლის პირველი ნახევარში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნონ:

პირველ ზონაში:

გარდაბნის რაიონი — პირველი ადგილი
ახმეტის რაიონი — მეორე ადგილი
თელავის რაიონი — მესამე ადგილი

მეორე ზონაში:

ლენინგორის რაიონი — პირველი ადგილი
ბოლნისის რაიონი — მეორე ადგილი
ქარელის რაიონი — მესამე ადგილი

მესამე ზონაში:

ბოგდანოვკის რაიონი — პირველი ადგილი
წალკის რაიონი — მეორე ადგილი
დუშეთის რაიონი — მესამე ადგილი

მეოთხე ზონაში:

ლენტეხის რაიონი — პირველი ადგილი
ქ. ჭიათურის ზონა — მეორე ადგილი
შუახევის რაიონი — მესამე ადგილი

მეხუთე ზონაში:

მაიაკოვსკის რაიონი — პირველი ადგილი
ვანის რაიონი — მეორე ადგილი
ზესტაფონის რაიონი — მესამე ადგილი

მეექვსე ზონაში:

აბაშის რაიონი — პირველი ადგილი
ჩხოროწყუს რაიონი — მეორე ადგილი
მახარაძის რაიონი — მესამე ადგილი

მეშვიდე ზონაში:

გულრიფშის რაიონი — პირველი ადგილი
გალის რაიონი — მეორე ადგილი
ქობულეთის რაიონი — მესამე ადგილი

გამარჯვებულებს წაახალისებენ.

აღინიშნა ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მიზნით გაწეული არადამაკმაყოფილებელი მუშაობა კასპისა და გურჯაანის რაიონებში. რძისა და კვერცხისა — ახალქალაქის რაიონში, რძისა — ამბროლაურის, ადიგენის, დმანისის, გორის რაიონებში, კვერცხისა — ონის რაიონში, ქალაქ წყალტუბოს ზონაში, აფხაზეთის ას რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომლებმაც ვერ შეასრულეს საგაგმო დავალებები. (საქინფორმი).

კოლხეთის დილა

შემუშავებულია კოლხეთის დაბლობის დაშრობის ახალი სქემა. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს გ. დ. ჯაფარიძეს ესაუბრა ამის თაობაზე.

— **დავიწყებ** იმით, რომ შეუძლებელია შეუცვლელი დარჩეს ისეთი გარდაქმნათა ხანგრძლივი პროგრამა, როგორიც კოლხეთში ხდება. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ამოცანები, უფრო პროგრესული ტექნიკა და სამელიორაციო სამუშაოების წარმოების თანამედროვე მეთოდები გვაიძულებს უარი ვთქვათ იმ სქემებზე, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ ოპტიმალურად ითვლებოდა.

სქემით გათვალისწინებულია უკანასკნელი ჰიდროლოგიური და ნიადაგმობრივი გამოკვლევების მონაცემები. ამჟამად მუშავდება ახალი სამელიორაციო სისტემების შენებლობისა და დაშრობილი მიწების გამოყენების ძირითადი მიმართულებები, იქმნება ცალკეულ ნაგებობათა და ობიექტთა პროექტები.

ძველისაგან განსხვავებით, ამჟამად დამტკიცებული სქემა ითვალისწინებს, რომ სამელიორაციო სამუშაოები და დაშრობილი მიწების ათვისება ერთმანეთთან მჭიდროდ იყოს დაკავშირებული, მათ შორის არ იქნება, როგორც ადრე, დიდი გასხვავება დროში. ეს საშუალებას მოგვცემს, როგორც კი მელიორატორები სამუშაოს დაამთავრებენ, ახალ ათვისებულ მიწებზე მოსავალი მოვიყვანოთ.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქმთაავარწყალმშენის“ „კოლხეთმშენის“ მშენებლები ამჟერიდან თვითონვე შეასრულებენ დაჭაობებული მიწების დაშრობისა და ასათვისებლად მათ მომზადებასთან დაკავშირებული სამუშაოების მთელ კომპლექსს. ესე იგი მათი მუშაობა მხოლოდ საწრეტი არხების გაყვანით არ შემოიფარგლება, ისინი შეუდგებიან ნაგებობების, საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი სოფლის მეურნეობის მუშაკებს მთელ სიმძლავრეს ჩააბარებენ.

უკვე მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის რუკაზე გაჩნდება სამი ახალი მძლავრი მეურნეობა ხობის რაიონში — მეცხოველეობისა და მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობები, გალის რაიონში — მეცხოველეობა-მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობა.

— **კოლხეთის დაბლობის დაშრობის ახალი სქემა, ალბათ, ახალ ტექნოლოგიურ გადაწყვეტებსაც მუშაობის პროგრესულ მეთოდებსა და სიახლეთა გამოყენებასაც ითვალისწინებს?**

— უდავოდ. შეიძლება აღვნიშნოთ სამი ძირითადი განსხვავება ძველთან შედარებით. ჯერ ერთი, იგი ითვალისწინებს მელიორატორების მიერ უფრო პროგრესული სისტემის, ეგრეთ წოდებული დაჭაობებული ადგილიდან ტენის ევაკუაციის სისტემის გამოყენებას. წინათ იგი თვითდენებით ჩადიოდა ზღვაში ან მდინარეში, მაგრამ თუ ქარი ამოვარდებოდა და წვიმა დაასხამდა, წყალი არათუ ჩადიოდა მდინარესა და ზღვაში, პირიქით, ჭაობი წყლით ივსებოდა. ამჟამად დადგმული მძლავრი სატუმბი სადგურები ამ ნაკლს აღმოფხვრიან. ბევრი მათგანი, როგორც, მაგალითად, ზუგდიდის რაიონის დაბა ანაკლიაში აგებული სადგური, უკვე მუშაობს, მეთერთმეტე ხუთწლედის დასაწყისში მწყობრში ჩადგება სადგურები ფოთის ახლოს და აბაშის რაიონში.

მეორეც, სქემა ითვალისწინებს ეგრეთ წოდებული მთის გადამღობი არხების მოწყობას, რომლებიც წყალდიდობის ან წვიმების დროს მთიდან წამოსულ ნიადაგრებს მდინარის კალაპოტში მიუშვებენ.

და, ბოლოს, მესამეც, წინანდელ ღია არხებთან ერთად აქტიურად გამოვიყენებთ დახურულ ჰორიზონტალურ დრენაჟს — ნიადაგში ჩავაწყობთ კერამიკულ წყალამრიდ ფილტრიან მილებს, რაც საშუალებას მოგვცემს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოვაქციოთ დაშრობილი მიწების თითქმის მეოთხედი, რომლებიც ადრევე არხებს ეჭირა.

— **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ჩაის ფოთლის წარმოების გადიდების ერთადერთი რეზერვია კოლხეთის დაბლობის მიწების დაჩქარებული ათვისება.**

— სპეციალისტების გაანგარიშებით, არსებობს რეალური შესაძლებლობა ამ მიწებზე გავაშენოთ 25-30 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია და მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის წარმოება გავზარდოთ 500 ათას ტონამდე, ხოლო 1990 წლისათვის — 600 ათას ტონამდე. ამ რაოდენობიდან თითქმის მეოთხედს მოგცემს კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწები. მარტო წელიწადს დახურული დრენაჟის საშუალებით უნდა დავაშროთ 3 ათას ჰექტარამდე ფართობი.

დასასრულ უნდა აღვნიშნო კოლხეთის დაშრობის სამუშაოებზე გაწეული ხარჯების სწრაფი ანაზღაურება: კაპიტალური დაბანდება, რომელიც მილიარდნახევარ მანეთს შეადგენს, სახელმწიფოს აუნაზღაურდება მთელი სამუშაოების დამთავრებიდან ექვსი წლის განმავლობაში.

ავტომატიზაცია ზვრებში

მოსავლის აღების მართვის ავტომატიზებული სისტემის ეფექტიანობა

დღევანდელ ეკონომიკურ პირობებში სოფლის მეურნეობის წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცნიერულად, ორგანიზებულად მართვას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის ამაღლებაში დიდ როლს ასრულებს სამუშაოთა ავტომატიზებული მართვა. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკა ამ საქმეში ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება სხვებს. მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული პროგრამით დამუშავდა და წარმოებაში (თელავის რაიონში) დაინერგა მართვის ავტომატიზებული სისტემა „რთველი“. ცნობილია, რომ თელავის რაიონში მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგია. რაიონის მშრომელები, პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ.

თელავის რაიონის სოფლის მეურნეობაში მთავარი მევენახეობაა. შარშანდელი მონაცემების მიხედვით, მემცენარეობის საერთო პროდუქციაში მევენახეობის წილი 79,6 პროცენტია, ხოლო სასაქონლო პროდუქციაში მისი ხვედრითი წილი 90,6 პროცენტს შეადგენს.

ამ ბოლო წლების მანძილზე მევენახეობაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი რეზერვი გამოუყენებელია, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის შემდგომ განვითარებას. ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: ყურძნის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება არა მარტო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ზონის, არამედ ცალკეული რაიონების თითქმის ერთნაირი პირობების მქონე მეურნეობების მაჩვენებლებისაგან. მაგალითად, შარშან წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 43,6 ცენტნერი ყურძენი მიიღო, მის მეზობლად მდებარე ქვემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ კი 78 ცენტნერი. ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 82 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო სანაორის კოლმეურნეობამ — 94 ცენტნერი, ანალოგიური მაგალითები სხვა რაიონებიდანაც შეგვიძლია მოვიყვანოთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ თელავში გამართულ მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე აღნიშნა: —საკმარისი იყო ყურძნის დამზადება 200-300 ათას ტონამდე ასულიყო და ღვინის ქარხნებთან იქნებოდა გაუთავებელი რიგები. ხოლო ზოგჯერ, ყურძენი რომ ჩაგვებარებინა, ღამეების გათენება იყო საჭირო. ეს არც თუ შორეული წარსულის სურათია“.

ყურძნის კრეფის, ტრანსპორტირებისა და ჩაბარების მართვის ავტომატიზებული სისტემის („რთველი“) შემოშვებისა და დანერგვის ძირითადი მიზანია კოორდინაციური ყურძნის კრეფის სწრაფი ტემპის უზრუნველყოფა რესურსების მინიმალური ხარჯვის პირობებში. ეს სისტემა წყვეტს შემდეგ ამოცანებს: ა). ხდება ყურძნის მოსავლიანობის პროგნოზირება მთლიანად რაიონისა და ცალკეული მეურნეობების მიხედვით; ბ). სატრანსპორტო საშუალებათა და შრომითი რესურსების ოპტიმალური განაწილება ყურძნის კრეფის პერიოდში ზუსტია; გ). საბუღალტრო აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაცია და პირველადი დოკუმენტების დამუშავება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

ამ სისტემის ფუნქციონირება ხორციელდება ოპერატიული მართვის რაიონული შტაბის და შტაბთან არსებული სადისპეტჩერო თავისი აღიარება მოიპოვა 1978 წელს, ხოლო ძირითადად 1979 წელს განხორციელდა, რის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს თელავის რაიონის წინანდლის ღვინის ქარხნის საწარმოო გაერთიანების პირველადი საბუღალტრო ჩანაწერების მიღებული ანალიზი. 1979 წელს 1978 წელთან შედარებით ერთ ტონა ყურძენზე სატრანსპორტო ხარჯებით მიღებული ეკონომია 0,23 მანეთია, ხოლო 1979 წელს 1977 წელთან შედარებით — 0,27 მანეთი. გამოანგარიშებამ გვიჩვენა, რომ სატრანსპორტო ხარჯები 1979 წელს 1978 წელთან შედარებით შემცირდა 11.000 მანეთით, ანუ 18,3 პროცენტით, ხოლო 1979 წელთან შედარებით იგი შემცირდა 13.000 მანეთით, ანუ 20,8 პროცენტით. დასაწყობებული თანხები (11.000 და 13.000) სოლიდურია, რაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე.

მარტო 1979 წელს რთვლის 10 დღით შემცირებამ თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის ანალიზმა ცხადყო, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ყველა ფაქტორს აქვს მნიშვნელობა. იქნება ეს ტექნიკური პროგრესი, [illegible] წარმოების ინტენსიფიკაცია, [illegible] ორგანიზაცია თუ მატერიალური [illegible] წახალისება, მაგრამ [illegible] ბული მნიშვნელობა ამ [illegible] ვაში ენიჭება ყურძნის მოსავლის აღების პერიოდში მართვის ავტომატიზებული სისტემის მოქმედებას, რამაც მოაწესრიგა შრომის ორგანიზაცია, გაუმჯობესა შრომითი რესურსების გამოყენება. ყოველივე ამან განსაზღვრა რთვლის პერიოდში მევენახეობაში წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი გადიდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, შრომის ნაყოფიერების ზრდით გამოიხატა. მაგალითად, აღნიშნული მეურნეობის მეთერთმეტე ბრიგადაში კაცსაათების რაოდენობა 1979 წელს 1977 წელთან შედარებით 30,6 პროცენტით, მეცამეტე ბრიგადაში 39,6, ხოლო სულ მეურნეობაში საშუალოდ 12,5 პროცენტით შემცირდა.

ყურძნის მოსავლის აღების პერიოდში მართვის ავტომატიზებული სისტემის ექსპლოატაციისათვის გაწეული ხარჯები 12 ათასი მანეთია, ხოლო სისტემის შექმნასა და დანერგვისათვის კაპიტალური დაბანდების ხარჯები — 27,8 ათასი მანეთი. დანახარჯების საერთო თანხა 39,8 ათასი მანეთია. ჩვენი გამოთვლებით, საფუძველზე კი აღნიშნული სისტემა იგივე პერიოდში 152,7 ათას მანეთ წლიურ ეკონომიას გვაძლევს, კაპიტალდაბანდებ ი ს სრული თანხის გამოკლებით ეკონომია 112,9 ათასი მანეთია. თუ კაპიტალდაბანდების ნორმატიული კოეფიციენტის მაჩვენებლად მივიღებთ 0,3-ს, წლიური ეკონომიკური ეფექტი 144,4 ათასი მანეთი იქნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიღებული ეფექტი ამ ახალი სისტემის პირველი ცდაა, საიმედოა ისიც, რომ უფრო ზუსტი აღრიცხვის პირობებში მომავალში სისტემის განხორციელებასთან დაკავშირებით ადგილ უფრო მოწესრიგდება და გაუმჯობესდება პირველადი საბუღალტრო აღრიცხვა, დაზუსტდება და გაადვილდება ეკონომიკური ეფექტის დადგენა.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ მართვის ავტომატიზებული სისტემის საშუალებათა დანერგვა რესპუბლიკის რაიონებში აამაღლებს მმართველობის ეფექტიანობას და ქვეყანას ათასობით მანეთს დაუზოგავს.

ლ. გიგინეიშვილი,
ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ა. გიგაური,
ინსტიტუტის ფილიალის სისტემური დაპროექტების განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.



შეჯიბრებაში პირველობენ

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს „თბილისგვირაბმშენის“ რკინა-ბეტონის ქარხნის მშენებლობა. აქ ახლა ძირითადად სამონტაჟო სამუშაოებია. განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ა. დათაშვილი ხელმძღვანელობს. ეს კოლექტივი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობს.

სურათზე: (მარცხნიდან) მექანიკოსი გ. ჟურაშვილი, შემდღუღებელი მ. ჩოგოლაშვილი, ბრიგადირი ა. დათაშვილი და ზეინკალ-მემონტაჟე ი. ბიბიაშვილი იხილავენ ხიდური ამწის სამონტაჟო ნახაზს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მეგობრობის სახელით

[illegible] ობის ღირსეული [illegible] ის მზადებაში [illegible] ახალი [illegible] ბა. [illegible] ბის მშრომელ[illegible] ბა, [illegible] ბა, [illegible] ბა, [

საერთაშორისო ცხოვრება
დღეს მსოფლიოს ჟურნალებზე

საკავშირო და ახალი ამბების საარქივო კორესპონდენტები გვაგზავნიან

დრო და პოეტი

გამეჯიბრე!

ენგურიდან აჭრილ ნათელს
კოლხეთის ცა ისე იბნევს,
თუ კაცი ხარ, მის უახლეს
სხივთა შლაში გამეჯიბრე!

მთის წვერს მწყემსი ისე
ელტვის
თითქოს ელვის ასდევს
კიბეს,
თუ კაცი ხარ, მომყევი და
მის ლტოლვაში გამეჯიბრე!

მიწა ვარსკვლავთ საბალახო
ვაზის სუნთქვას ისე იფენს,
კახეთში რომ მაჭარი დულს
იმ დუღილში გამეჯიბრე!

მცხეთასთან რომ მტკვარს
არაგვი
შეერთვის და მარჯვედ
მისდევს,
თუ კაცი ხარ, მის წვაში და
ნათებაში გამეჯიბრე!

იორს ცა რომ მიაქვს
დროშად
და წინ უსწრებს დღეის
მიჯნებს,
იმ მინდვრების ბარაქაში
თუ კაცი ხარ, გაეჯიბრე!

როგორც ქვა ზის
საძირკველში
სიტყვაშიაც აზრი იჯდეს,
რომ იქცევა სინამდვილედ
იმ ზღაპარში გამეჯიბრე!

თუ თქვი კიდეც აღასრულე,
შეუძლებლის ძლევა
შესძელ.
გვეგულები ქვეყნის
მხსნელად
ყანაშიც და ბრძოლის
ველზეც.

ირგვლივ შრომის გუგუნია,
გული გულში ოქროს
თესავს,
თუ არ დგახარ ამ
ფერხულში
რა ფასი აქვს
სიცოცხლესაც.
ყური უგდე რა დიდება,
რა სიამე მოაქვს ნიავს.
თუ შრომაში მკლავს არ
ანრთობ
ვერ ივარგებ ბრძოლაშიაც.

ალალ იყოს
სამშობლოსთვის
მკერდში გული ფეთქავს
ვიდრე,
მისთვის სიმღერაშიაც და
გარჯაშიაც გამეჯიბრე!

წაახვევია ქარი აფრებს,
გმირთაგმირებს უხმობს
ლელო.
ღირსეულთა რიგებშია
ვისაც უყვარს საქართველო!

ვახტანგ გორგანელი.

ჩვენი დროის ქართველის დედას

ქართველის დედას მშვიდობიან ყამსაც ჰმართებს თავდადება:
„მეტი შვილი!“ — აი, მისი სახელი და წარმატება!
ქრისტე ღმერთზე ადრე იყო ქვეყნად ჩვენი ივერია;
ბევრი მტერი დასამარდა, ის კი ისევ ძლიერია...

დღესაც ვნატრობთ: ძეობაში მეტი დილა დაგვათენოს!
მინაც ითხოვს: გვიმრავლე და გვიდღეგრძელე საქართველო!
სხვამ ვინ უნდა შეინახოს მისი მზე და ძლიერება?
ერს რა პასუხს აძლევს ქალი, უშვილოდ რომ იარება?
ცხრა ძმის დედამ მოიხადა
თავის დროზე წმინდა ვალი...
დღეს მეტს ითხოვს ახალციხე,
გარეჯა და წინანდალი!
ბედნიერი იქნებოდა სამგზის უფრო საქართველო,
ამაზე რომ მეტს ფიქრობდე, ქართველის დედავ, ცანათელო!
მარტოობა შინ და გარეთ სიხარულსაც ხომ ადუნებს!
ხვალ ვინ დახნავს რკინის ხარით „ამ ხვავიან ხოდაბუნებს?
ვინ დახვდება მტერ-მოყვარეს, მოლიზღარს თუ გადამთიელს?
სინდისი რომ გააჩუმო, „განა ერი გაპატიებს?
უნდა გაპყვე ათასწლეულებს —შენ ხომ ყველა მწვერვალს ხედავ,
საქართველოს მეხთამრიდად აღმართულო ქართველის დედავ!
განა დღეს ის დედაბოძი ნათლის სვეტად არ ანთია,
სადაც ჩვიდმეტ შვილს შეეხარის გმირი ლოლა ზარანდია?
„მეტი შვილი!“ — აი შენი „ბიბლია“ და „დაბადება“!
განა ამას შეედრება ქვეყნად სხვა რამ თავდადება?

აკაკი გელოვანი.

შემომშრიალებს ზღვასავით...

შირაქელებს, პურის წარმოების მეათე ხუთწლედის გეგმა რომ შეასრულეს.

ნისლის ლეჩაქი გახია მზის შადრევნების ელვამ,
გამოიღვიძა მთვლემარმა დიდმა შირაქის ველმა.
სამყურასა და შვრიაზე ბრწყინავს ცის ნამი ნმინდა...
გადაქარგულა მინდორი, როგორც ხევსურის წინდა.
შემომშრალებს ზღვასავით თვალწუდველი ყანა...
შორს ალაზანი დუდუნებს ვერხვის ჩრდილებში წყნარად.
რიჟრაჟიდანვე გუგუნებს ველის ხომალდის მუხლი,—
გულში სიხარულს აჩაღებს, ველზე — სიმღერის ქუხილს!..
ქართული ხორბლის ბარაქა ასე ხვავდება მთებად.
რა მათრობელა ველია! — გული უღვინოდ თვრება!
ხოდაბუნებზე გავყურებ გუთნის ნაფთვეის ხავერდს
სახემღიმარი ბიჭები სანაწვერალოს ხნავენ.
შირაქელების გარჯაში დიდი მიზანი ვცანი,
ზვრებში ისრმი მსხვილდება რქაწითელის და მწვანის...
შრიალ-შრიალით მოძრაობს დიდი ქაოთათა ფარა...
ეს თოვლია თუ ცხვარია„ იალაღებს რომ ფარავს?!
გაღმა-გამოღმა ვაკეებს ვეღარ იხილავთ მდუმარს,
ქართული ნაზმატყლიანი ვერძი მაჩვენეს სტუმარს!...
ნათელ ლაჟვარდში გემივთ ღრუბლის ქულები ჰქრიან...
ამაგდარ ყველა შირაქელს ხუთწლედის გმირი ჰქვიან.

შალვა შაველაშვილი.

სადაც კაპიტალი ბატონობს...

დასავლეთგერმანელი სტუდენტები პრეტენტს აცხადებენ თავიანთი სოციალური მდგომარეობის გამო, ბევრი წარმომადგენელი იძულებულია არადადეგების დროს, იმუშაოს სწავლის ქირის გადასახდელი ფულის საშოვნელად, ან მეცადინეობას შეუთავსოს მუშაობა. საერთო საცხოვრებლები სიძვირის გამო ხელმიუწვდომელია სტუდენტთა უმრავლესობისათვის,

სურათებზე: ბონის უნივერსიტეტის სტუდენტები სამ კვირას ცხოვრობდნენ ამ კარავში, რომელიც დემონსტრაციულად დასცეს დედაქალაქის ერთერთ მთავარ მოედანზე. ორი კელნელი სტუდენტი, რომლებსაც მკერდზე პლაკატები ჩამოუკიდიათ, ქუჩა-ქუჩა დადის და ბინას ეძებს.

საკადრისის ფოტოქრონიკა.

დასავლეთგერმანელ კომუნისტთა მოთხოვნა

ბონი, 5 აგვისტო. „გერმანელთა კომპარტია გადაჭრით ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის ზეგავლენით ცდილობენ შეაფერხონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სავაჭრო კავშირურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან. სსრ კავშირთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მოლაპარაკებამ კვლავ ცხადყო, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას დიდი შესაძლებლობანი აქვს გაადიდოს საქონელგაცვლა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, რომელთა ეკონომიკა თავისუფალია კრიზისებისაგან“, — განაცხადა გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარემ ჰ. მისმა გელზენკირხენში პარტიის აქტივისტთა კონფერენციაზე.

ათობით მილიარდი მარკა ხმარდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სულ უფრო დაუოკებელ გამალებულ შეიარაღებას, თქვა შემდეგ გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარემ.

ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ, რომ დასავლეთი დაეთანხმოს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა მიზანია შეიარაღების შეზღუდვა და განიარაღება, რომ მოლაპარაკების გზით შეიქმნას წანამძღვრები გამალებული შეიარაღების პოლიტიკის შეწყვეტისათვის, განაცხადა დასასრულ ჰ. მისმა.

მუქარა ვაშინგტონიდან

ბაღდადი, 5 აგვისტო. ერაყის გაზეთი „ას-საურა“ სასტიკად აკრიტიკებს ვაშინგტონს ისრაელის აგრესიული პოლიტიკის მხარდაჭერისათვის. არაფერია უჩვეულო ამაში, წერს გაზეთი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პალესტინის საკითხებზე ამასწინანდელი სესიის დროს გაალაშქრა რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელიც თვალსაწინოს ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან, მათ შორის იერუსალიმიდან ისრაელის ჯარების სრულ და უპირობო გაყვანას, და გამოიყენა ზეგავლენის ყველა მეთოდი, რათა არ დაეშვა მისი მიღება.

პრაღა, 5 აგვისტო. გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე პალესტინის საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ ისრაელ-ეგვიპტის სეპარატიული მოლაპარაკების მიღმა იფარება ამერიკის შეერთებული შტატების სწრაფვა განამტკიცოს თავისი ბატონობა ახლო აღმოსავლეთში, წერს გაზეთი „რუდე პრავო“.

ამავე დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პალესტინის საკითხის განხილვამ, საერთაშორისო გაერთიანების მიერ პალესტინელი ხალხის საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების მხარდაჭერამ პალესტინელთა ბრძოლას ახალი თვისებრივი ბაზა შეუქმნა. კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რაოდენ სწორია პრინციპული პოლიტიკა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა, რომლებიც უკვე მრავალი წელია მოითხოვენ ახლო აღმოსავლეთის ვითარების კომპლექსურ და სამართლიან მოწესრიგებას, ხაზს უსვამს „რუდე პრავო“.

პეკინის მტრული აქციები

ჰანოი. 5 აგვისტო. არ წყდება ჩინეთის მხედრიონის პროვოკაციული აქციები ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე. ივლისში ჩინელებმა 180-ზე მეტი შეიარაღებული პროვოკაცია მოაწყვეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ, ნათქვამია ჩინელი ექსპანსიონისტებისა და ჰეგემონისტების დანაშაულის გამომძიებელი კომისიის აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

გასული თვის მანძილზე ჩინეთის ჯარებმა ათასჯერ და მეტად არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ვიეტნამის ტერიტორიას. ამ ბარბაროსული მოქმედების შედეგად დაიხოცა და დაიჭრა ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები, განადგურდა ნათესები, დაიწვა შენობები.

ივლისის დამლევს ჩინეთის სამხედრო მოსამსახურეთა ათობით შეიარაღებული ჯგუფი შეიჭრა ვიეტნამის ტერიტორიაზე ხატუენისა და ხოანგლეშონის პროვინციების რაიონში, თავს ესხმოდა მშვიდობიან მცხოვრებლებს. ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები 30-ჯერ და მეტად შეიჭრნენ ვიეტნამის საჰაერო სივრცეში 15 კილომეტრამდე სიღრმეზე. ჩინეთის გემები განუწყვეტლივ იჭრებოდნენ ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში.

ეს მტრული აქციები თვალნათლივ მოწმობს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიმართ ჩინეთის პოლიტიკის დიდმპყრობელური, ექსპანსიონისტურ ხასიათს, აღნიშნულია კომუნიკეში.

ქაბული, 5 აგვისტო. ავღანეთი თავზე აღებულ ვალდებულებად ითვლის ეკონომიკური თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოსთან, განაცხადა საკადრისის კორესპონდენტისათვის მიკიმულ ინტერვიუში ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა მოჰამედ ხან ჯალალარმა. ჩვენ მხარს ვუჭერთ კარგ სავაჭრო ურთიერთობას ბევრ ქვეყანასთან, უწინარეს ყოვლისა სოციალისტურ და განვითარებადს ქვეყნებთან. აგრეთვე მთელ რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. თქვა მან.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითადი საგარეო-სავაჭრო პარტნიორია, აღნიშნა მ. ხ. ჯალალარმა, საბჭოთა კავშირი, რომელიც ჩვენს ქვეყანას აწვდის მანქანებსა და მოწყობილობას, ქიმიურ საქონელს, სხვა სამრეწველო პროდუქციას. თავის მხრივ ავღანეთი სსრ კავშირში გზავნის სასოფლო-სამეურნეო საქონელს, სასარგებლო წიაღისეულს. ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან აქტიური საქმიანი კავშირურთიერთობა აქვთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას, პოლონეთს, ბულგარეთსა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს. სოციალისტური ქვეყნების წილად მოდის ავღანეთის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის ნახევარზე მეტი.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობა, თქვა შემდეგ მ. ხ. ჯალალარმა სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება, იგი ვითარდება რესპუბლიკის განვითარების კომპლექსური ეკონომიკური გეგმების შესაბამისად. სახელმწიფო სექტორს განეკუთვნება წამყვანი როლი ეკონომიკის ძირითად დარგებში, მათ შორის ვაჭრობის დარგშიც. სახელმწიფო სექტორის ფარგლებში ხორციელდება, მაგალითად, სასარგებლო წიაღისეულის, ბამბის, სახელმწიფო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პროდუქციის ექსპორტი.

ამავე დროს საგაჭრო ოპერაციებში მონაწილეობენ ცირკოდ სექტორის საწარმოებიც. ამ სექტორსაც შეაქვს თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ამიტომ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ახორციელებს ღონისძიებებს მისი სტიმულირებისათვის, თქვა მ. ხ. ჯალალარმა. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო-სავაჭრო ბალანსს აქტიური სალდო აქვს, გაიზარდა ექსპორტი. კერძოდ, ავღანური ხალიჩების ტრადიციული ექსპორტი უკანასკნელი წლის მანძილზე ოცი პროცენტით გადიდდა. ეს მოწმობს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკის წარმატებებს საგარეო ვაჭრობის დარგში, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა.

ავსტრიის მოსახლეობა

ვენა. ავსტრიის მოსახლეობამ 1979 წლის დამლევისათვის 7 მილიონ 508 ათასს მიაღწია, აქედან 3 მილიონ 978 ათასი ქალია. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ავსტრიის მოსახლეობა მხოლოდ 60 ათასით გაიზარდა.

ვაჭრობის მინისტრის ინტერვიუ

მოკლედ

ყოველი მხრიდან

6 აგვისტო

● **ბეირუთი**. მარტო ერთ წელიწადში ისრაელის საგარეო ვალი 2 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ისრაელის ცენტრალური ბანკი იუწყებოდა, რომ 1980 წლის მარტის დამლევისათვის მან 15,8 მილიარდი დოლარს მიაღწია. ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი მდგომარეობა არაბული ქვეყნების მიმართ ტელ-ავივის აგრესიული ექსპანსიონისტური კურსის უშუალო შედეგია.

● **დარ-ეს-სალამი**. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა არაფერს არ თაკილობს, რათა ნამიბიას თავს მოახვიოს ეგრეთ წოდებული „შინაგანი მოწესრიგება“, წერს ტანზანიის გაზეთი „სანდი ნიუსი“. პრეტორია, რომელმაც ამას წინათ ნამიბიის მარიონეტული „მინისტრთა საბჭო“ შეაკოწწა, ამჟამად გეგმავს შექმნას მისდამი დაქვემდებარებული „ტერიტორიული შეიარაღებული ძალები“. პრაქტიკულად ამ ძალების საფუძველი იქნება სამხრეთ აფრიკის რასისტთა საოკუპაციო ჯარები, რომლებიც პრეტორიამ ნამიბიიდან უნდა გაიყვანოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად.

● **ოტაპა**. კანადის დედაქალაქის სამოქალაქო თავისუფლებათა ასოციაციამ გენერალურ ვექილს რ. კაპლანს მოსთხოვა მიიღოს ზომები, რათა კანადაში აღიკვეთოს უკიდურესი მემარჯვენე ორგანიზაციის კუ-კლუქს-კლანის საქმიანობა, რომელმაც ამას წინათ თავისი განყოფილება გახსნა ოტავაში. უკანასკნელ ხანს, აღნიშნულია ასოციაციის განცხადებაში, კლანმა აქტიურად იწყო შეჭრა კანადაში ამერიკის შეერთებული შტატებიდან. რასისტებმა უკვე მოასწრეს „თავიანთი ფილიალები „გაეხსნათ ქვეყნის უდიდეს ქალაქებში.

● **ისლამაბადი**. მიუხედავად იმისა, რომ პაკისტანში იგრძნობა სპეციალისტებისა და მუშახელის მწვავე ნაკლებობა, ქვეყნის მთავრობა აქტიურად უწყობს ხელს თავისი მოქალაქეების საზღვარგარეთ წასვლას. ამის მიზეზი მარტივია, — საზღვარგარეთ მომუშავე პაკისტანელთა ფულადი გზავნილებანი ხაზინაში საზღვარგარეთული ვალუტის შენატანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ქვეყანაში შექმნილია დასავლეთ ევროპის, აფრიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში მუშათა დაქირავების სპეციალური ბიუროების ფართო ქსელი.

უსწორდებიან ირანელ სტუდენტებს

ვაშინგტონი, 5 აგვისტო, ამერიკის ხელისუფალნი სასტიკად უსწორდებიან 200 ირანელს, რომლებიც 27 ივლისს თეთრი სახლის წინ გამართული ამერიკის შეერთებული შტატების ანტიირანული პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციის დროს დააპატიმრეს. ვაშინგტონში თითქმის ერთი კვირაა გრძელდება აქ მცხოვრებ ირანელთა მძლავრი მანიფესტაციები. აღნიშნული დემონსტრაციის გარეკვის დროს ამერიკის პოლიცია ხალხის თვალწინა,—რეპორტაჟს კი ამ მოვლენის ადგილიდან ტელევიზიით გადასცემდნენ, სცემდა ირანელ სტუდენტებს.

გუშინ 172 დაპატიმრებული ირანელი ვაშინგტონის სისხლის სამართლის საპატიმროდან ბორკილდადებული სამხედრო თვითმფრინავებით მიიყვანეს ქალაქ ოტაკვილის ახალ საპატიმროში. დემონსტრაციის მონაწილე 20 ირანელი ქალი ნიუ-იორკის შტატის სპეციალურ ქალთა საპატიმროში დააწყვდიეს.

როგორც პრესის ცნობები მოწმობს, დაპატიმრებულებს ამცირებენ. მაჰმადიან სტუდენტთა ასოციაციის წარმომადგენელმა თქვა, რომ დაპატიმრებულთა დაკითხვაში მონაწილეობდა შაჰის საიდუმლო პოლიციის სავაქრო ყოფილი აგენტი. სტუდენტები ჰყავთ ვიწრო საკნებში. მათ უფლება არა აქვთ ურთიერთობა ჰქონდეთ ვინმესთან საპატიმროს ადმინისტრაციის წარმომადგენლის გარდა.

ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე ცნობილმა ადვოკატმა მ. ლეინმა ჟურნალისტებს უთხრა, თუ რა მხეცურად ექცევიან ამერიკის ხელისუფალნი დაპატიმრებულ სტუდენტებს.

ბევრ მათგანს ატყვია ცემის კვალი, განაცხადა მან. ხელისუფალნი უწყობენ დამამცირებელ დაკითხვებს და იარაღით ემუქრებიან.

სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაპატიმრებულმა ირანელებმა გამოაცხადეს შიმშილობა, რომელიც უკვე მეათე დღეა გრძელდება.

თეირანი, 5 აგვისტო. აქ ამერიკის ყოფილი საელჩოს შენობის წინ გაიმართა შეერთებულ შტატებში ირანელ სტუდენტთა დაპატიმრების, დევნისა და წამების წინააღმდეგ მიმართული მძლავრი დემონსტრაცია. დემონსტრანტები, მათი რიცხვი კი 300 ათასს აღემატებოდა, გაიძახოდნენ ანტიამერიკულ ლოზუნგებს და მოითხოვდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ირანელ მოქალაქეთა წინააღმდეგ ფეოდალებისა და ძალადობის შეწყვეტას.

ირანის პრეზიდენტმა ბანისადრამ წერილით მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ ირანელ სტუდენტებს. ვაშინგტონი, ნათქვამია წერილში, თვითონ ქმნის დაბრკოლებებს ამერიკელ მძევალთა საკითხის გადაწყვეტის გზაზე. ყოველთვის, როცა ეს საკითხი ირანის ხელისუფლებმა უნდა განიხილონ, ამერიკის მთავრობა მიმართავს ამა თუ იმ ფარსს გაითამაშებს ხოლმე და ამით აფერხებს მის გადაწყვეტას, ისეთ სიძნელეებს ქმნის, რომ კრიზისი შეიძლება უსასრულობამდე გაგრძელდეს. მთელმა მსოფლიომ იცის, ხაზგასმულია თეირანის რადიოთი გადაცემულ პრეზიდენტის წერილში, რომ კარტერი სპეკულაციას ეწევა ადამიანის უფლებათა „დაცვის“ ლოზუნგით და ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი, განახორციელოს „ცივი ომის“ ესკალაციის პოლიტიკა. ამერიკის პროპაგანდისტული მანქანის ღონისძიებათა მიზანი ის არის, რომ პოლიტიკური იზოლაციაში მოაქციოს ჩვენი ქვეყანა. ამ პირობებში გვმართებს შორსმჭვრეტელური პოლიტიკა, რათა არ გავებათ ამერიკის ინტრიგების მახეში, უნდა გავერთიანოთ ჩვენი რიგები და გამოვიჩინოთ სიმტკიცე.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს, რომელშიც მოუწოდებს მოსთხოვოს ამერიკის ხელისუფალთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ირანელი მოქალაქენი. წერილში აღნიშნულია, რომ ამერიკის პოლიცია სასტიკად ექცევა მათ.

ირანის პარლამენტის თავმჯდომარემ აიათოლა რაფსანჯანიმ აქ გამოაცხადა, რომ უახლოეს სესიაზე მეჯლისის დეპუტატები განიხილავენ ამერიკელ მძევალთა გასამართლების მოსამზადებელი სპეციალური კომისიის შექმნის საკითხს, რომლებსაც ბრალად ედებათ ირანის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა და ჯაშუშობა. კარტერს, თქვა მან, სულაც არ აწუხებს ამერიკელ მძევალთა ბედი, პირიქით, იგი ამ პრობლემას იყენებს თავისი ძირგამომთხრელი კამპანიის განხორციელებისა და ირანის რევოლუციის ჩახშობის მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების სამარი მზადებისათვის.

გულისწყრომით გმობენ

ჰავანა, 5 აგვისტო. როგორც პრესა ლატინას საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ბოლივიის რეაქციას, რომელმაც 17 იგვისს დაამხო პრეზიდენტ ლიდია გეილერის კონსტიტუციური მთავრობა, უკვე ათასზე მეტი „აცი შეეწირა. გადატრიალების მომენტიდან დაპატიმრებულია ორი ათასი პატრიოტი, ასობით ადამიანი უკვალოდ გაქრა.

ლა-პასიდან მიღებული ცნობების თანახმად, მეამბოხეებმა ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს საყოველთაო არჩევნებში გამარჯვებული დემოკრატიული და სახალხო ერთიანობის ფრონტისაგან ეროვნული კონგრესის კანდიდატებზე. ამ კოალიციაში შედიან ქვეყნის მეშრომელნი ძალები, მათ შორის, ბოლივიის კომუნისტური პარტია. მხედრიონის რეპრესიებისა და ტერორისაგან თავი რომ ეხსნა, ქვეყნის 150-ზე მეტმა თვალსაჩინო პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ თავი შეაფარა ვენესუელისა და მექსიკის საელჩოებს ბოლივიის დედაქალაქში.

რეპრესიებისა და ტერორის მიუხედავად, განაცხადა პრესა ლატინას სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული და სახალხო ერთიანობის ფრონტისაგან პას სამორამ, ქვეყანაში იზრდება რეაქციული მხედრიონისადმი გლეხების, მეღარელების, მეფილი ბოლივიელი ხალხის წინააღმდეგობა.

ლა-პასიდან მიღებული ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, არალეგალურად მოქმედმა ბოლივიის მუშათა ცენტრმა და ბოლივიის უნივერსიტეტების კონფედერაციამ მხარი დაუჭირეს სახალხო მთავრობის შექმნას დემოკრატიული და სახალხო ერთიანობის ფრონტის ლიდერის ერნანსილეს სუაზოს მეთაურობით.

კარაკასი, 5 აგვისტო. ლათინური ამერიკის პოლიგრაფიული მრეწველობის მშრომელთა კონფედერაციამ გადაჭრით დაგმო სისხლიანი გადატრიალება ბოლივიაში და კონტინენტის პროგრესულ საზოგადოებრობას მოუწოდა განამტკიცოს სოლიდარობა ამ ქვეყნის პატრიოტებთან.

კონფედერაციის აღმასკომის აქ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ პოლიგრაფიული მრეწველობის მშრომელები ბოლივიელი მეამბოხეებისაგან მოითხოვენ ბოროტმოქმედების შეწყვეტას, ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას.

ულან-ბატორი, 5 აგვისტო. მონღოლეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭო მსოფლიოს მეელ პროგრესულ ძალებთან ერთად გულისწყრომით გმობს ბოლივიის ხუნტის დანაშაულობებს, რომელიც ცდილობს სისხლიანი ტერორით ჩაახშოს ბოლივიელი ხალხის სამართლიანი ბრძოლა.

...ასში ნეგატიური მოვლენების გაძლიერებას მოჰყვა სახალხო მეურნეობის განვითარების შკვეთრი შეფერხება, ყოველივე ამან უარყოფითი დაღი დასვა ეკონომიკას.

ასეთ ვითარებას ზღვარი დაუდო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ცნობილმა დადგენილებამ პარტიის ობლისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. შედეგებში მას მოჰყვა საქართველოს შესახებ პარტიისა და მთავრობის სხვა დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები, აგრეთვე პირადად ლ. ი. ბრეჟნევის განსაკუთრებული ყურადღება და მზრუველობა, რომელიც მან გამოიჩინა ჩვენი რესპუბლიკისადმი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად შეიმუშავა მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური ღონისძიებათა სისტემა უკვე მერვე წელია, რაც უკომპრომისო ბრძოლა წარმოებს ანტიბოდიური მოვლენების წინააღმდეგ. ამ ღონისძიების დედაარსი ახლა ადამიანის გადარჩენა, ადამიანის სწორ გზაზე დაყენება და ამით სუბიექტური ფაქტორის გაძლიერება, მისი ახალი რეზერვების გამდიდრება. ამ წმიდათა-წმიდა საქმისათვის ლაშქრობას ფართოდ დაუშვრა მხარი ხალხმა. საკანონმდებლო საზოგადოებრივი ინიციატივების ფორმები და მასში შესაბამისი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობა; ამ კეთილი საქმისათვის ყოველთათა-სახალხო მოძრაობა აქტიურად ჩაებნენ მეცნიერები, მწერლები, შემოქმედებითი ორგანიზაციის წარმომადგენლები, მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო თანდათან გაჯანსაღდა. პატიოსანი ადამიანის ძალა ადგა, სუბიექტის აქტიურობა ასევე მთელი თავისი სიდიადით გამოვლინდა. მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა. ამასთან დაკავშირებით ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ხალხს ასევე მოუწოდა: „კიდევ უფრო მტკიცედ შევუტიოთ ყველამ ერთად, მთელმა საზოგადოებამ ანტიპოდურ მოვლენებს, ყველაფერს, რაც ხელს ფიზლის ქვეყნის სასიკეთოდ პატიოსან შრომაში“.

სუბიექტური ფაქტორის მდიდარი რეზერვები

საზოგადოების სუბიექტური მხარე რეზერვების მდიდარი საუნჯეა. ამ სფეროში თავს იყრის არა მარტო ცნობიერების ელემენტებით შემოსაზღვრული პროცესები, არამედ კომპლექსური ხასიათის მოვლენები, რომლებიც ერთიანებს ადამიანთა ნებაზე დაქვემდებარებულ მატერიალურ და იდეალურ პროცესებს.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ობიექტური და სუბიექტური მხარეების მეცნიერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი მუშაობის ყველა სფეროში მოიპოვება ულევი რეზერვები — ახალი დამატებითი წყაროები, რომელთა გამოყენება კიდევ უფრო გააძლიერებს სახალხო მეურნეობაში რეალურად მოქმედ ძალებს. რეზერვი ხომ ყოველთვის შესაძლებლობაა მოცემული, იგი გამოუყენებელი ქალაა. ასეთი რეზერვი უხვად არის როგორც მატერიალურ, ობიექტურ პირობებში (ბუნებრივი და სოციალური რესურსების სახით), ისე სუბიექტურ მხარეში — საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებში, მასში შესაბამისი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში.

სკკპ XXV ყრილობამ ჩვენს ხალხს მუშაობის ფართო პროგრამა დაუსახა. იბადება კითხვა: არის თუ არა დღეს ყველა შესაძლებლობა გამოყენებული პარტიის ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად?

გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ არა. კოლოსალურ შესაძლებლობებს, მდიდარ რეზერვებს, რომლებიც ბუნებისა და საზოგადოების წიაღშია მოცემული, ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ, ამრიგად, აქ თავს იჩენს წინააღმდეგობა საზოგადოების განვითარების რეალურ შესაძლებლობასა და მის არასაკმარის გამოყენებას შორის.

თანამედროვე ამოცანების ფოკუსში მოქცეულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების თანაფარდობისა და მათში არსებული მდიდარი რეზერვების გამოყენების საკითხები.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად ჩვენს რესპუბლიკაში ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს. მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებამ, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლამ მრავალი ადამიანი იხსნა სულიერი დაკნინებისა და გადაგვარებისაგან, რითაც კიდევ უფრო გაიზარდა სუბიექტური ფაქტორის ძალა და მისი რეზერვები. „ჩვენ ვებრძვით არა ადამიანს, რომელიც წარსულის მავნე გადმონაშთების მატარებელია, — თქვა ე. ა. შევარდნაძემ, — არამედ ამ გადმონაშთებს მის შეგნებაში და ეს ბრძოლა წარმოებს იმავე ადამიანის და მთელი ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ“. მაშასადამე, ყოველი ასეთი პიროვნების განთავისუფლება ნეგატიური მოვლენებისაგან არის თვითონ ადამიანის გადარჩენა დაღუპვისაგან, ამავე დროს ეს არის ახალი რეზერვი, რომელიც მწყობრში დგება და სასიკეთო საქმეს აკეთებს როგორც საზოგადოებისათვის, ისე თავისი პირადი კეთილდღეობისათვის.

ამ თვალსაზრისით დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება „ზნეობრივ რეკონსტრუქციას“, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. პოზიტიური ცვლილებანი ჩვენში პირველი დღეებიდანვე შესამჩნევი გახდა. გაძლიერდა მასების აქტიურობა, ამაღლდა შრომითი ენთუზიაზმი, აღორძინება დაეტყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას, მაგალითად, მრეწველობის ზრდის საშუალო ტემპი 1971-1972 წლებში 2,5 პროცენტს შეადგენდა, მომდევნო სამ წელიწადში კი იგი 10,5 პროცენტით გაიზარდა. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეროვნული შემოსავლის ზრდამ 323 მილიარდ მანეთს მიაღწია. საკმარისია ითქვას, რომ საქართველო საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ზედიზედ შვიდჯერ ღებულობს გარდამავალ წითელ დროშას.

ახლა სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში, ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ახალი დიდი მიჯნებია მისაღწევი. პარტია ხალხს მოუწოდებს მაქსიმალურად გამოიყენოს მატერიალური და სულიერი პოტ

ჩემი ხეობის ფერები



დიდი სათნოებაა ბუნებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, შშობლიურ ბუნების დიდი ჭკუისა და თბილი გულის პატრონი სჭირდება. მის საიმედო პატრონად კი სიყვარული უნდა გამოგზარდოთ საკუთარ სულსა და გულში.

ჩვენი თაობა არაერთი ბრაკონიერული მოქმედების მოწმეა, ადამიანის „ჭუჭყიანი ნაკვალევისა“ და სხვა უმსგავსო ფაქტების მნახველია.

ჩვენი სკოლის აღსაზრდელებში შშობლიური ბუნების ტრფიალის პირველთა ნაპერწკლამა გაიელვა განსაკუთრებით მაშინ, როცა გადეცანით ჩვენი ვარდ-ყვავილების მესაიდუმლის მიხეილ მამულაშვილის ღვაწლს და მის ბაღს. ამის შემდეგ V–IX კლასებში ჩამოყალიბებეთ მოსწავლეთა ორგანიზებული ჯგუფები — ბუნების ნორჩ დამცველთა რაზმები. თითოეულ რაზმში 15-21 ბავშვია გაერთიანებული. ისინი შემუშავებული გეგმებისა და ჩვენი მითითებების მიხედვით რეგულარულად აწყობენ რეიდებს ბუნებაში სწავლის პერიოდშიც და ახლაც — არდადეგების დროს, კერძოდ: მდინარეების — არაგვისა და მტკვრის სანაპიროებზე, იქ, სადაც ბრაკონიერები თავიანთ ავ საქმეს სჩადიან, ჯარსნისა და არმაზის ტყეებში, სადაც აღმოაჩინეს ბრაკონიერის ხელით ამოთხრილი ნადირის ჩასაკარდნი ორმოები და აგრეთვე მხეცების დამჭერი მავთულის მარყუჟები; კოდმანის გორებზე, ჭალებსა და ხევებში ახსნეს არაერთი ფიფანგი. როგორც ყოველთვის, წელსაც VII კლასელმა „ცისფერრაზმელებმა“ თევზის ქვირითების პერიოდის დადგომისთანავე, მაისის თვიდან გააძლიერეს რეიდები მდინარე არაგვისა და მტკვრის წყლებში, ნახეს, რომ უამრავი ფაცერი და ბადეა ჩაგებული. წაწყდნენ ბრაკონიერების მიერ მტკვარზე დინამიტის აფეთქების შემთხვევებს. ეს ფაქტები აცნობეს მცხეთის ზონის ბუნების დაცვის ინსპექციას.

ჩვენი სკოლის ბიოლოგიის კაბინეტში ინახება ბრაკონიერებისაგან დაგებული და მოსწავლეთა მიერ მოხსნილი ნადირ-ფრინველის დასაჭერ-დასახოცი მრავალი ხაფანგი, მარყუჟი, შურდული... ბუნების ნორჩმა ქომაგებმა გააუ-

მცხეთელ მოსწავლეთა მაგალითი

ვნებლეს ისინი და თავიანთი საგუშაგოები საფრთხეს ააცილეს. არანაკლებ ზრუნავენ ნორჩები ფლორის დაცვაზე. რეიდების დროს ჭალებში, ხეობებსა და ტყეებში აღმოაჩინეს უნებართვოდ გაკაფული ნორჩი ხეები, დაბინძურებული ადგილები, ცეცხლწაკიდებული მცენარეები. მათ აქ პირველადი ღონისძიებები განახორციელეს, — გაასუფთავეს, ცეცხლი ჩააქრეს, ხოლო აღნიშნული ფაქტები წერილობით აცნობეს მცხეთის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობას.

ამ კეთილშობილურ საქმიანობაში მოსწავლეები, ცხადია, ხშირად წინაღმდეგობას აწყდებიან ბუნების მტრებისაგან, ზოგჯერ ბრაკონიერები სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებენ, მაგრამ შშობლიური ბუნების დაცვის ინტერესი აღნიშნულ უსიამოვნებაზე უფრო მაღლა დგას.

მოსწავლეები ბუნების მარტო დამცველები როდი არიან. სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მათ გამოზარდეს ასობით კაკლისა და ფიქვის ნერგები, გადარგეს და ახლა ისინი ლაღად შრიალებენ სკოლის ეზოსა და მის შემოგარენში. ნორჩებს შევასწავლეთ ვაზის მყნობა და ალვის ხის კალმებით ვეგეტაციური გამრავლება. თავიანთი გამოყვანილი ვაზის ნამყენით სკოლის ნაკვეთზე გააშენეს ვენახი და თალარი, ხოლო სკოლის ნაკვეთის აღმოსავლეთით გააშენეს ალვისხის ორმწკრივიანი ქარსაცავი ზოლი. ახლა ისინი უზარმაზარი ხეებია და მნახველის თვალს ახარებს, ათასობით ორმო ამოთხარეს და ხე და ბუჩქი დარგეს ქალაქის ხრეოკ ადგილებში — ჯვრის, თეთრი ფლატეს, ბებრის ციხის, კოდმანის მიდამოებში. მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ხრიოკ გორებზე სიცოცხლე დაამკვიდრეს—დარგეს და ახარეს კვიპაროსი. ამ ადგილს უწოდეს „ლენინის გორა“, ხოლო სკოლის ახლოს გააშენეს თუთის ხის პლანტაცია, რათა საკვები ბაზა ჰქონდეთ თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაზრდელად, ბუნების ქომაგები თავიანთი ქუჩების მწვანე ნარგაობას იცავენ და რწყავენ ზაფხულის ამ ცხელ დღეებში, შეაგონებენ სხვებს ბუნების პატივისცემას და თავიანთი კეთილი საქციელით მაგალითს უჩვენებენ ყველას.

უნდა შევისწავლოთ ბუნების ენა, მისი კანონები, ეკონომიკა, მისი საყოველთაო მნიშვნელობა ადამიანისათვის, მისი სიმკაცრეც და სიჩუმეც. დიახ, უნდა შევისწავლოთ მცენარეებისა და ცხოველების ცოცხალი მექანიზმების ზუსტი მოქმედებანი, მათი საოცარი ქცევები. ბუნება მარტო მარჩენალი კი არა, ჩვენი დიდი მასწავლებელიც არის და უნდა ვისწავლოთ კიდეც მისგან.

თითოეულ ოჯახსა და სკოლაში უნდა თბებოდეს ჩვენი ყმაწვილის კული ბუნების სიყვარულით, იზრდებოდეს მასში ნატიფი გრძნობა სინდისისა, რომლითაც უნდა ვმზყესავდეთ ჩვენს ბუნებას. ახლა ბუნებამცოდნეობის საუკუნეა და ყველა ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ეს თავის პრაქტიკული საქმიანობით უნდა გაოხაროს; მაშ მოდით, გვერდზე გადავდოთ თოფი, ცოდვიანი ლულა შევცვალოთ მშვიდობიანი ფოტოაპარატით და, როცა ბუნების შვილები (პოპულაციები) ისე მომრავლდებიან, რომ ზიანსაც კი მოუტანენ ბუნებას, აი მაშინ ვიწყოთ მათზე ნადირობა, მარტო შემოღებული „წითელი წიგნი“ ვერ დაიცავს გადაშენების გზაზე დამდგარ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებს!

შ. ამირანაშვილი,
მცხეთის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.



ქოშაგი

კვლავ მოტრიალდა ცხელი ზაფხული. დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების თუ ტურისტულ საგზურებზე სასიამოდ იკითხება განთქმული კურორტების სახელი.

ადამიანები ღელავენ, განიცდიან. როგორ ელოდნენ ლაღ თვეებს!

საგზურებზე მეტყველად, რომანტიკულად ჩანს — ბორჯომი. იგი თავისთავადი სიყვარულით ეზმაურება ადამიანების გულს.

ვის არ გაუგონია ბორჯომის, მისი წარმტაცი ხეობის ქებათა ქება! არავის და არასოდეს არ მოგვწყინდება ამ მიწიერ მშვენიერებაზე ლაპარაკი.

ეს ზაფხული კვლავ და კვლავ გვიკარნახებს სიტყვას ბორჯომზე...

ვისაც უშუალოდ უნახავს, თუნდაც ერთხელ შეუვლია თვალი ამ „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტისათვის“, განუცდია ეს ჭეშმარიტი ბედნიერება, იგი არასოდეს აღარ დაივიწყებს ბორჯომს, ხეობის ზღაპრულ ბილიკებს, ანკარა წყაროებს, ირმის მყვარალობას, ტყეთა სიმღერას და, რაც მთავარია, თვითონ ხეობელებს, რომელნიც შეხდებენით და სულით ასე საოცად ჰგვანან მშობლიურ ადგილს.

სხვა მრავალთან ერთად მეც ვამაყობ, გაუნელებელ სიამოვნებას მანიჭებს ის, რომ ამ ხეობის შვილი ვარ. სიყვარულმა ყველაფრის კარგად მოჩვენება იცისო! თუ ბორჯომის ხეობის შვილებს ვინმე გადაკარებებულად ჩაგვითვლის შეფასებებს, მაშინ ფიქრს კომპეტენტურს ჩაიკოვსკის მოვიშველიებთ, რომელმაც ბორჯომს მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი, ღვთაებრივი ადგილი უწოდა.

...და დგას ბორჯომი, მისი ხეობა ადამიანების სიკეთის სამსახურში. ახალი რაღა უნდა ვთქვათ მსოფლიოში განთქმულ „ბორჯომის“ მინერალურ წყალზე...—უკვდავების წყალს ეძახიან. ეძახიან და ასეა სწორედ!

წლითიწლობით მატულობს მინერალური წყლის ჩამოსხმა, ასობით, დიახ, ასობით მილიონი ბოთლი „ბორჯომი“ — ყოველწლიურად!..

მსოფლიოს რომელ კუთხეში არ შეხვდები მინერალური წყლით სავსე ბოთლს ნაცნობი იარლიყით „ბორჯომი“, დიახ, ელოდებიან და ენდობიან ადამიანები წყალს, რომელიც ასე სასიამოვნო და, რაც მთავარია, ასე ძვირფასი სამკურნალო თვისებებისაა.

ხომ ასე ლამაზია ბორჯომის ხედები, ხომ ასე მომაჯადოებელია მისი ცა, ხოლო მიწისქვეშეთიდან დაუშრეტლად მოჩქეფს უკეთესზე უკეთესი წყალი.

განა მხოლოდ ბორჯომის შემოგარენი... მთელ ხეობაში სად აღარ შეხვდები გემრიელ სამკურნალო წყლებს. სულ ახლახან დაიწყო ჩამოსხმა და ერთბაშად მოიპოვა პოპულარობა მინერალურმა წყალმა „მიტარბმა“.

და არა მარტო ბორჯომის მადლიანი წყალი მიაქვთ სხეგან, ახლო თუ შორეული მხარეებიდან თვითონ აკეთხავენ ადამიანები ბორჯომს. ხეობა მრავალზე მრავალ სტუმარ-დამსვენებელს მასპინძლობს.

ხეობა მასპინძლობს, ხეობა მკერდში იკრავს ადამიანებს, რომ ასიამოვნოს, განკურნოს, სიცოცხლით და სიხარულით აღავსოს.

ფართო დასასვენებელ ქსელში მაღალკვალიფიციური პერსონალი მუშაობს. თეთრხალათიანთა არმია ფხიზლად დგას მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ნახეთ შთაბეჭდილებათა წიგნების ფურცლები! დამსვენებელთა მადლიერების, სიყვარულის რაოდენ ამაღელვებელი სიტყვებია იქ ჩაწერილი არა მარტო ლიკანის დიდებულ სანატორიუმებში თუ „მთის ხეობაში“, „ფირუზაში“ თუ ცემის „მზიურში“... წაღვერში, ტბაზე... მაღალმთიან ბაკურიანში...

რა პეიზაჟები, რა სანახები აქვს ხეობას! მარტო ცხრაწყარო რად ღირს! აბა ერთი, მოახერხე და ცხრაწყაროს ულეტხილიდან ადრე დილით მზის ამოსვლას უთვალთვალე. აი, მაშინ იტყვის გული, რა გრძნობით იტყვის „ო, მზეო, მზეო“... ეს რაღაც სასწაულია, გაუუმორებელი სილამაზეა, რომელიც შენს არსებაში სამუდამოდ რჩება.

ნახეთ კიმოთესუბნის შუა საუკუნეების მონასტერი, სხვა ისტორიული ძეგლები, რომლებითაც ასე მდიდარია ხეობა.

იმგზავრეთ ბორჯომ-ბაკურიანის ელექტროფიცირებული ვიწროლინდაგიანი რკინგზით... მეტწილად ახოვანი ფიჭვნაძვნარის ტოტების სახურავქვეშ მიდიხართ, მწვანე, ხასხასა სამყაროში მიდიხართ. აქ ჰაერს არა მარტო სუნთქავ, არამედ გრძნობ, გათრობს.

ბორჯომის ნაკრძალში ბუნება პირველქმნილი სახით არის შემორჩენილი. აქ ცივ-ცივ ნაკადულებს ეწაფებიან ირმები და შვლები... ვრცელ იალაღებზე მართლა ლაღობენ ირმები და, როცა სერზე ნათამამები ირემი შემოდგება, როცა შებღავლებს სილამაზეს, ხეობებს მოსწოწინთ ეს ხმა და ეხოდ იმეორებენ...

ხეობა მხოლოდ დასვენება, მხოლოდ ტკბობა და დროს ტარება როდია. აქ ცხოვრობენ დიდად შრომისმოყვარე, კეთილი მამულიშვილები. ისინი უფრთხილდებიან, გულით უვლიან ხეობის ღირსებას. შრომობენ... შრომობენ!.. მათი ნახელავი უხვად, გამორჩეულად ურევია ყოველივე იმაში, რაც დამსვენებლის სუფრაზე მიაქვთ... ხეობებში, მთებში ყვავილოვან საძოვრებზე განლაგებული ფერმებიდან სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მიაქვთ პირდაპირ თბილ-თბილი სურნელოვანი რძე... იქიდანვე მოდის კარაქი და ყველი... მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვეში განსაკუთრებით დიდია წვლილი ციხისჯვრისა და ტაბაწყურისა.

ტაბაწყურს სხვა სიკეთეც აქვს. სოფელ ამშვენებს ლურჯზეღურჯი ტბა, სადაც მრავლდება ალმახი. მერე როგორი ალმახი, მთისა, ნაირფრად დაწინწკლული, თითქოს მინდვრის ყვავილებისათვის მოუპარავს ნაზი ფერები.

ხეობის ბოსტნეულზე ცალკე ღირს ლაპარაკი. კლიმატი, ჰაერი ბოსტნეულსაც ბევრ რამეს მატებს, გემოს მატებს, უფრო მარგებელია...

ანდეზიტის ქვას მოსაპირკეთებლად სად აღარ გზავნიან, თვით ქვასაც როგორღაც ამჩნევია, ახატია ხეობის სიტურფე-სილამაზე.

განვითარებულია სატყეო მეურნეობა. აქაური ნაძვი უკეთესზე უკეთესია სამუსიკო ინსტრუმენტებისათვის, კერძოდ, პიანინოსათვის. ხეობისა თვითონ ხეც მღერისო!

მოქმედებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც საკუთრივ მიეძღვნა ბორჯომის რაიონის განვითარებას. ამ დადგენილების ბოლომდე განხორციელება უფრო გააშვენებს ხეობას.

დედამიწისმსენ არის ბორჯომის ვაგზალი, რომელიც თითქოს ცოცხალი არტერიით უკავშირდება ხეობას. მარადმწვანე მთებიდან მოფრენილი ზღაპრული ფრინველის ფრთებს ჰგავს ვაგზლის სახურავი. ხოლო ჩამომდგარი მატარებლის ვაგონებზე სახუკვარად იკითხება — „თბილისი—ბორჯომი“... ბორჯომი ელოდება ახალ სტუმრებს, ძველ ნაცნობებსაც ელოდება, ყველას ელოდება!

თავისთავად ლამაზია ბორჯომის ხეობა, მართლაც ღვთაებრივი, მაგრამ ადამიანი მაინც მისი მთავარი შშვენებაა. თავისუფალი, შემოქმედი ადამიანი, რომელსაც სამეურნეო ცხოვრებამ, ლენინური პარტიის ზრუნვამ მოუტანა ნამდვილი ბედნიერება, ხეობის მთელი დიდებული სამდიდრე ჭეშმარიტად ხალხის სასიკეთო სამსახურში ჩააყენა.

ვლ. გელაშვილი.

✦✦

სურათზე: ბორჯომის ხედი.
ო. თურაძის ფოტო.

მიმდინარე წლის ივლისში, გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საქართველოში მოეწყო ბუნების დაცვის ერთთვიური. იგი ჭეშმარიტად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ერთთვიურთან დაკავშირებით სხვა მოსამზადებელ სამუშაოებთან ერთად დაისტამბა წიგნები, ბუკლეტები, ბუნებისადმი ქომაგი მაინც სხვა არის. როცა ეს კეთილი, ლამაზი, მრავლისმეტყველი სიტყვა ვეკუსმის, თვალწინ წარმოგვიდგება მამულიშვილი, რომელმაც დარგო ხე, გაამწვანა, გაამშვენიერა ეზო, კარი, მიდამო, გაატყიანა ხრიოკი, დაიცვა და ბაღად დრა ტყე, ხელი შეუწყო ნადირ-ფრინველის მოშრავლებას... სიტყვით თუ საქმით უპირისპირდება, ებრძვის ბრაკონიერს: მშობლიური გარემოს, მამულის სიყვარულს უნერგავს ახალგაზრდობას“.

ვკითხულობდით ამ სტრიქონებს და თვალწინ გვიდგება საუკუნეს მიღწეული, თოვლივით სპეტაკი თმით შუბლდაფენილი, მაგრამ უბერებელი პეტრე ჭაბუკიანი, ჩვენი ბუნების ტრფიალი და მუხლჩაუხრელი ქომაგი...

...პეტრე ჭაბუკიანმა ხე კი არა, მთელი ტყე დარგო, ახარა და უპატრონა... დიახ, დღეს ქუთაისსა და წყალტუბოს შორის, ექვსას ჰექტარზე საამოდ რომ შრიალებს ნადირ-ფრინველით მდიდარი მშვენიერი ტყე, ეს უპირველესად პეტრეს დამსახურებაა. იგი ერთგულ დარაჯად იდგა ჩვენი ისტორიის სწორუპოვარ ძეგლებს — ბაგრატსა და გელათს... თუ რამდენი უსიამოვნება გადაეტანა მან ამ ძეგლების გამო, კარგად აღწერა -მწერალმა და მეცნიერმა ლევან სანიკიძემ ვრცელ ნარკვევში „ძეგლი ცოცხალი წინაპარია“. ამიტომაც დაჯილდოდა იგი მედალიონით საქართველოს და რუსეთის პატრიარქებისაგან — კულტურის ძეგლთა გადარჩენისათვის.

მან სათაფლიას ნაკრძალის ტერიტორიაზე აღმოაჩინა რამდენიმე კარსტული მღვიმე. ერთ-ერთი მათგანი რამდენიმე ათეული წელიწადია ტურისტულ-საექსკურსიო ობიექტს წარმოადგენს. ამ ხნის ნაძნილზე მღვიმე ორ ძილიონზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. აქვე, სათაფლიას ნაკრძალის ტერიტორიაზე მიაკვლია. მან გადაშენებული გიგანტი ქვეწარმავლების — დინოზავრების ნაკვალევს, რომელიც ბარემეოლი ასაკის კირქვის შრეებზეა აღბეჭდილი. ეს ცხოველები ამ მიდამოებში ას ოცი მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ. ეს აღმოჩენა მსოფლიოს გეოლოგიის მეცნიერების ინტერესის საგნად იქცა. მსგავსი რამ სულ რამდენიმე ადგილას არის აღმოჩენილი მსოფლიოში. ამ უნიკალურ ძეგლს თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა, რათა მომავალ თაობებსაც შეეუნახოთ. მაგრამ მას შემდეგ, რაც კირქვას მიწის ფენა გადაეცალა, ნაკვალევი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. როგორც სურათზე ნათლად ჩანს, კირქვის ზედაპირზე გაჩნდა ნაპრალები, რომლებიც ყოველწლიურად მატულობს. ქარი და წვიმა თანდათან შლის ნაკვალევს. სადირექტივო ორგანოებმა კარგა ხანია მიიღეს დადგენილება ნაკვალევის დამცავი პავილიონის აგების შესახებ, მაგრამ ეს საკითხი პრაქტიკულად დღემდე არ გადაჭრილა.

ამ ცოტა ხნის წინათ პატივცემულმა პეტრემ შემოგვჩივლა: ჩემთვის არაფერსა გთხოვთ, მაგ ნაკვალევის დარდს ნუ გამაყოლებთ, მოუარეთ და გაუფრთხილდით, თორემ მომავალი თაობები მაგ უსულგულობას არ გაპატიებენო.

იქნებ, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ამ საშური საქმის დროულ მოგვარებაზეც თქვას თავისი სეფესიტყვა?

გ. ჟალაგეგიშვილი,
სსრ კავშირის სპორტის ოსტატი;
ჯ. ჯიშკარიანი,
საქართველოს სსრ ტურიზმის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

✦✦

სურათებზე: პ. ჭაბუკიანი; დინოზავრის ნაკვალევი სათაფლიაში.

დრო, ამბები, მოვლენები

✦✦

ფეხბედნიერი იყოს

საჩხერე. (საკ. კორ.). მრავალი წლის ოცნება აუხდათ რაიონის მშრომელებს. სახელმწიფო კომისიამ მაღალ შეფასება მისცა ახალი კულტურის სახლის ნაგებობას.

შენობა მოპირკეთებულია დეკორატიული მარმარილოს ქვით, აქვს 600-ადგილიანი დიდი და 140-ადგილიანი დარბაზები. მოძრავი სცენა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.

კულტურის ახალი სახლის საზეიმო გახსნას და პირველ მასობრივ ღონისძიებას დაესწრნენ დედაქალაქიდან და მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები.

გამოფენა სოფელს ეწვია

ქობულეთი. (საკ. კორ.). სოფელ ქობულეთის კულტურის სახლში გაიხსნა აჭარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. ექსპოზიციაში წარმოდგენილია 20 მხატვრის ფერწერული, გრაფიკული, ჭედური ნამუშევრები. მათ შორის საქართველოს დამსახურებული მხატვრების შ. ხოლუაშვილის, შ. ზამთარაძის, ნ. იაკოვენკოსა და სხვების ნაწარმოებები.

ექსპოზიციის დახურვის შემდეგ ნამუშევრების ნაწილი საჩუქრად გადაეცემა სოფელს.

სოფლის სიახლენი

მახარაძე. ძიმითი ისტორიულად ცნობილი სოფელია. მას შრომისა და რევოლუციური მოძრაობის სახელოვანი ტრადიციები აქვს.

უკანასკნელ წლებში სოფელმა საგრძნობლად იცვალა სახე და თანამედროვე ტიპის დაბას დაემსგავსა. ახლახან სოფელს ერთი სიახლე შეემატა, სოფლის ცენტრში გაიხსნა თანამედროვე სტილით აგებული ორსართულიანი სავაჭრო შენობა. მაღაზიის ლამაზად გაფორმებულ სარკეებში უხვად არის სამრეწველო, სამეურნეო, სასურსათო და სხვა ფართო მოხმარების საქონელი. მომხმარებელს კულტურულ მომსახურებას უწევენ დახლის ახალგაზრდა მუშაკები.

შ. ზაქარიაძე.

ზაპოროჟიეს საპატიო მოქალაქე

ონი. (საკ. კორ.). ფაშისტური ულლისაგან ზაპოროჟიეს განთავისუფლებისათვის საბჭოთა არმიამ დიდი ბრძოლები გამართა. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში ჩვენი ქვეყნის მრავალი ერის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო სოფელ ნიგვზნარის მცხოვრები ალარენკი გობეჯიშვილი.

სამამულო ომის ვეტერანი ამას წინათ ზაპოროჟიეში მიიწვიეს საყოველთაო-სახალხო ზეიმზე, რომელიც ამ ქალაქის განთავისუფლებას მიეძღვნა.

ზაპოროჟიელები გულმხურვალედ შეხვდნენ თავიანთ განმათავისუფლებლებს, მასპინძლებმა ქართველი მეომარი ქალაქის საპატიო მოქალაქეთა სიაში ჩარიცხეს.

მეგობრობენ ბავშვები

ამბროლაური. (საკ. კორ.). თიმოქმის მეოთხედი საუკუნის მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან ამბროლაურელ და მოსკოვის 823-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს. ისინი სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ კიკვიძის ნათელმა ხსოვნამ დააკავშირა.

ახლახან მოსკოველი ბავშვები სტუმრად იყვნენ ამბროლაურში. ისინი ეწვივნენ სოფელ ჭრებალოს იმ საშუალო სკოლას, სადაც გმირი სწავლობდა და ეზოში აღმართულ ვ. კიკვიძის ბიუსტთან პიონერული ხაზი მოაწყვეს.

გვნერს გკითხველი

✦✦

დონორი რომ არა...

გვიან ღამით ცუდად გავხდი, მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ სასწრაფოდ გადამიყვანეს რაიონის საავადმყოფოში. საჭირო გახდა ოპერაცია, სისხლი კი ბევრი მჭონდა დაკარგული...

ახლა, როცა განსაცდელმა გაიარა, მადლიერების გრძნობით ვიხსენებ ჭარელის რაიონული საავადმყოფოს მედპერსონალს და განსაკუთრებით რაიონის სანეპიდსადგურის ექთანს დონორ ვენერა ბარბაძეს, რომელმაც ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად არ დაინანა და უსასყიდლოდ გაიღო სისხლი.

დონორობა, მართლაც რომ, კეთილშობილური საქმეა!

ც. გულოვი.

ერროვნული საქმე

მახსოვს ბავშვობისას, პაპაჩემთან საუბარში ხალხური სიმღერების ოსტატმა ნესტორ კონტრიძემ სინანულით გამოთქვა იმის გამო, რომ მუსიკალური სფეროდან თითქმის განიდევნა ისეთი შესანიშნავი და ხმატკბილი ხალხური საკრავი, როგორიც ჩონგურია.

ცნობილია, რომ ჩონგურს დიდ პატივს სცემდნენ სახელგანთქმული ლოტბარები აკესენტი მეგრელიძე, კოტე ფოცხვერაშვილი, კირილე პაპკორია, ძუკუ ლოლუა, კაზი გეგეკორი, ვარლამ სიმონიშვილი, არტემ ერქომაშვილი და ბეგრი სხვა, რომლებიც თავიანთ ანსამბლებში იყენებდნენ კიდეც ამ შესანიშნავ ხალხურ საკრავს. უფრო მეტიც: ა. მეგრელიძემ პირველმა ჩამოაყალიბა მეჩონგურე ქალთა მთელი ანსამბლი. ეს სახელდობრ, რაც ჩონგურს შეეხება, მაგრამ კარგა ხანს თითქმის არავის მოსვლია აზრად შეეკრიბა ყველა ჩვენი ქართული ხალხური საკრავი, ორკესტრი ჩამოეყალიბებინა და ერთად აეყვანებინა. გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ითავა ეს ეროვნული საქმე. ყველაფერი კი ასე დაიწყო: მაშინ კირილე ეშაკიძე თბილისის არქიტექტურის ტექნიკუმის კულტმუშაკი იყო, და აი, 1937 წლის ერთ საღამოს, იმ დროს, როდესაც მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მიმდინარეობდა, მან რადღაცა მოისმინა მეგრელიძის მეჩონგურე ქალთა ანსამბლის კონცერტი და იმდენად მოიხიბლა, რომ ოცნებამ ფრთა გაშალა და ჩონგურთან ერთად თვალწინ წარმოუდგა საქართველოს ყველა კუთხის ხალხური საკრავი: ფანდური, ჩანგი, ჭიანური, გუდა-სტვირი, ჭიბონი, სალამური, დაირა, დუდუკი, დოლი, დიპლიპიტო და მრავალი სხვა. ოცნება მალე სინამდვილედ აქცია — ტექნიკუმს ტალანგანაში, — ქიმეში, მიმსკში, ტაშკენტში, ალექსანდრიაში, ალექსანდრიაში, ბოლოს ფოქრში. აზრი მოუწონეს და ხელიც შეუწყვეს. უკვე 1937 წლის აპრილში არტელ „წითელ ვარსკვლავს“ ქართული ხალხური საკრავები შეუკვეთეს, 1938 წლის პირველი ივლისიდან კი არქიტექტურის ტექნიკუმის ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი მეცადინეობის შეუდგა. რამდენიმე თვის თავგამოდებული მეცადინეობის შემდეგ ტექნიკუმის მოსწავლეთა 23-კაციანმა ხალხურ საკრავთა ორკესტრმა პირველი კონცერტი გამართა საქართველოს სომღერისა და ცეკვის მეოთხე ოლიმპიადაზე. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, გაზეთებში ქების რეცენზიები დაიბეჭდა. ეცოტავათ კიდეც, რომ ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა ორკესტრს მხოლოდ სამი ნომრის — „დილას“, „სულიკოს“ და „საცეკვაოს“ შესრულების ნება დართო. კ. ვაშაკიძის მოღვაწეობამ ხელოვნების საქმეთა სამმართველოც დაინტერესა და მას ამ ეროვნული საქმის კიდევ უფრო განვითარების ყველა პირობა შეუქმნა. ამ მიზნით ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლთან ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი ჩამოაყალიბეს და მას კ. ვაშაკიძე ჩაუყენეს სათავეში. გადიოდა დრო და ორკესტრი თანდათან იხვეწებოდა, მდიდრდებოდა მისი რეპერტუარი.

ხალხურ საკრავთა ორკესტრს წარმატება ხვდა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ... მოსკოვში, ... ლენინგრადში, — კიევში, მინსკში, ... ტაშკენტში. ... ორკესტრის მეოთხეულების დაწყების დღიდან აგერ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და ხალხური მუსიკის ამ ამაგდარ ადამიანს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კირილე ვაშაკიძეს თავის არქივში დაუგროვდა უამრავი რეცენზია და აღფრთოვანებული გამოხმაურებები არა მარტო საქართველოდან, არამედ ჩვენი საბჭოთა საშობლოს სხვადასხვა კუთხიდანაც.

მართლაც, ორკესტრის მომავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, პატივცემული კირილეს მაგალითმა მისცა ალბათ დასაბამი ჩვენი მრავალეროვანი საშობლოს ხალხთა მსგავს ორკესტრებს, რომლებიც დღეს აგრერიგად გავრცელდა ყველა რესპუბლიკაში და მხარი დაუშვენა რუსულ ხალხურ საკრავთა ორკესტრს.

უდავოა კ. ვაშაკიძის ამაგი ეროვნული მუსიკის დარგში. მაგალითად, მისი დამსახურებაა, რომ საქართველოს ფილარმონიასთან არსებული სახელმწიფო ორკესტრის გარდა, დღეს რესპუბლიკაში ორმოცდაათამდე ხალხურ საკრავთა ორკესტრი მოქმედებს.

ამაგდარი ადამიანი კვლავაც გატაცებით მოღვაწეობს თბილისის საესტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში, სასწავლებლის ხალხურ საკრავთა განყოფილებას კი ნაგებს და ამ დარგის ახალგაზრდა სპეციალისტებს ზრდის.

ს. თოიძე.

პლანეგა მიესალმება ოლიმპიადის შედეგებს

საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის ორგანოები, საზოგადო და სპორტული მოღვაწენი კვლავ აშუქებენ მოსკოვში დამთავრებული XXII ოლიმპიადის შედეგებს. ისინი ხაზს უსვამენ, რომ მოსკოვის ოლიმპიადამ ნათელი ფურცელი ჩაწერა თანამედროვეობის ოლიმპიური მოძრაობის მატიანეში, თავისი წვლილი შეიტანა ხალხთა შორის ურთიერთგაგების, ნდობის განვითარებაში, ჰელსინკის საბოლოო აქტის დებულებათა განხორციელებაში. აღნიშნავენ, რომ ოლიმპიადამ ჩაიარა როგორც ახალგაზრდობის, ხუთთვე კონტინენტის ხალხების მშვიდობის, მეგობრობის, თანამშრომლობის დიდმა დღესასწაულმა.

რუსებმა შესანიშნავად მოაწყვეს ასპარეზობა. სპორტსმენთა მომსახურების არც ერთი სახეობა უშცირეს კრიტიკასაც კი არ იწვევს. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ყველა საფუძველი აქვს მოსკოვის ასპარეზობა მიიჩნიოს სრულ წარმატებად, დაასკვნის ბელგიური გაზეთი „ლიბრ ბელჟიკი“. ოლიმპიადაზე უნაკლო წესრიგი სუფევდა.

100 ათას კაცს, რომლებიც ლენინის სახელობის სტადიონზე თვალს ადევნებდნენ ოლიმპიური ასპარეზობის დახურვის ცერემონიას, და იმ მილიონობით ადამიანს, რომელებმაც მას ტელევიზიით უყურეს, წერს პორტუგალიის გაზეთი „დიარიუ“, არასოდეს დაავიწყდებათ იგი. მოსკოვში კიდევ ერთხელ გაიმარჯვა სპორტმა, ხაზს უსვამს იტალიური გაზეთი „პაეზე სერა“. სპორტსმენებმა, მაყურებლებმა, ყველა სპორტის მოყვარულმა დიდი „მადლობა“ გადაუხადეს მოსკოვს ოლიმპიური ასპარეზობისათვის. სპორტის ამ გრანდიოზულმა დღესასწაულმა დაამტკიცა, რომ ვერავითარი ბოიკოტი, ვერავითარი პოლემიკა ვერ მოახდენს ზეგავლენას ოლიმპიური მოძრაობის უდიდეს საკაცობრიო იდეალებზე. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მთლიანად ჩაიფიფშა ზოგიერთი დასავლელი ჟურნალისტის ცდა ჩრდილი მიეყენებინა მოსკოვის ოლიმპიადისთვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ბოიკოტის მიუხედავად, აღიარებს ამერიკული ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, მოსკოვის ასპარეზობა არ გადაქცეულა რაღაც მეორეხარისხოვან შეჯიბრებად. ოლიმპიადაზე მსოფლიოს 36 რეკორდი დამყარდა სხვადასხვა სახეობის სპორტში.

მოსკოვის ოლიმპიადა ყოველმხრივ შესანიშნავი იყო, განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა სპორტსმენმა ათჰიდმი, XXI ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონმა ბ. ჯენერმა. ენ-ბი-ეი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა მძლეოსანთა შეჯიბრების მაღალი დონე და ხაზი გაუსვა „ფანტასტიკურ“ შედეგებს სიგრძეზე, სიმაღლეზე და ჭოკით ხტომაში, აგრეთვე შეჯიბრების საუცხოო ორგანიზაციას. ჯენერმა დაგმო ამერ